# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 იანვარი, 2013 წელი.

№7 (7134)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიცყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „სწორედ სააკაშვილს დაერქმევა ქვეყნის მოღალატის სახელი“

2

## ცუდ შედეგზე თამაში არავისთვის არ იქნება მომგებიანი

3

## სიმართლე აფხაზეთის გასხვისების გამო

6 8

## არაქართული წარწერებით „დამშვენებული“ მცხეთა და თბილისი

4




## შავი ზღვა შეიძლება აფეთქდეს!

5

## უდაბნოს იდუმალი განძი

11

დროის შავი ყუთი

# რატომ ისევ გაზეთი „24 საათი?!“

**სააკაშვილმა, რომელმაც ახლა შეკვეცილი საპრეზიდენტო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოყო ვითომ მედიის განვითარებისთვის, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ძალადობისა და უსამართლობის მწვერვალზე პარპაშებდა, საქვეყნოდ განაცხადა, – მე ქართულ პრესას არ ვკითხულობო, და სულ კუკუს კვრით გამოგვყარა რამდენიმე ათეული რედაქცია ჩვენი ოფლითა და შრომით აშენებული გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან.**



თანაც მაშინდელი ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, პირწავარდნილი ნაციონალის გიორგი მელაძის თავმჯდომარეობით ძალისძალად გაამარჯვებინა სატენდერო კონკურსში არაოფიციალურ ოფიციოზს „გაზეთ 24 საათს“, რომელიც უკვე წლების მანძილზე მონოპოლიურად ბეჭდავს სატენდერო მასალებს და საზიარო მილიონებს ღუნავს. საზიაროს იმიტომ ვამბობთ, რომ მეწილე ზემდგომები თავიანთ კუთვნილს აგრერიგად არ დათმობდნენ. და, როგორც ბოლო დროს გაირკვა, ჩვენს პატივცემულ ოცდაოთხსაათელებს, კერძოდ კი, ბატონ მამუკა ფაჩუაშვილსა და პაატა ვეშაპიძეს, „ნაციონალების“ აშკარად ფასიან იდეოლოგ-აგიტატორებს, განათლების სამინისტროსა და თბილისის მერიის თანადგომით ცალკე სტამბაც კი დაუარსებიათ, სადაც ფაქტობრივად, როგორც ჩანს, საზიარო „ფული იბეჭდებოდა“ (ანუ რაც იბეჭდებოდა, ის ხომ ფულია!)

პირველმა ოქტომბერმა ცხადია, ბევრი რამ შეცვალა და, იმედია, კიდევ ბევრი რამ შეიცვლება. მაგრამ, მართალი გითხრათ, ჩემსავით ძალიან ბევრია გაოცებული, რატომ იცვლება ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ ასე ფეხათრევით?!

აი, თუნდაც, რატომ აგრძელებს „გაზეთი 24 საათი“ ისევ და ისევ მონოპოლიურად სატენდერო განცხადებების ბეჭდვას? ან ბოლოს და ბოლოს, როდის გაირკვევა ის ფინანსური მაქინაციები, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც თვითონ „24 საათში“, ისე „24 საათის“ ფარულ კერძო სტამბაში?

და, საერთოდ, იქნებ ისიც გაირკვეს, თუ რომელი მედიის განვითარებისთვის გამოყო აწ უკვე ღობე-ყორეს მოდებულმა ოპოზიციონერმა და პრესის მოძულე სააკაშვილმა ერთი მილიონი ლარი და რაღა მაინცდამაინც „ნაციონალების“ კუდების ნინო დარასელიისა და გია ნოდიას გასანაწილებელი აღმოჩნდა ეს არცთუ მცირე თანხა?

განა დიდი გამოსაცნობია, რა კონკურსსაც ჩაატარებენ დარასელი და ნოდია, ვის გაამარჯვებინებენ და რა პრესასაც განავითარებენ?!

მაგრამ აქ საკითხავი ნამდვილად ის არის, ქართულ ოცნებას ჩვენ, გამარჯვებული „მეოცნებენი“, უნდა ვიხდენდეთ თუ ჩვენივე უნებლიე ხელშეწყობით – დამარცხებული „ნაციონალები“, რომელთაც მკვდრეთით აღდგომის იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ?!

**გურამ წიკლაური,**

გაბრაზებულ მეოცნებე ჟურნალისტთა სახელით გამომცემლობა „სამშობლოდან“ სააკაშვილის მიერ ერთ-ერთი გამოპანჩურებული ჟურნალისტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა

# „სწორედ სააკაშვილს დაერქმევა ქვეყნის მოღალატის სახელი“



*სააკაშვილის პირადმა მძევლებმა ციხეები დატოვეს. ამნისტიის კანონის ამოქმედებისთანავე პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე 190 პირი გათავისუფლდა. ისინი ციხიდან ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გამოაცილა.*

*გათავისუფლებულებს შორის არიან 26 მაისის საპროტესტო აქციებისას, ე.წ. „ენვერის“, „ყინწვისის“ საქმეებზე დაკავებული პირები, ასევე, ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ აყვანილი ახალგაზრდები და 7 ნოემბრის საქმის გამო დაკავებული ერთ-ერთი პირველი პოლიტპატიმარი. ციხეები დატოვეს, ასევე, სულხან მოლაშვილის ძმამ თორნიკე მოლაშვილმა, ფეხბურთელმა გიორგი დემეტრაძემ, ჯაშუშად მონათლულმა სამხედრო ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ და სხვებმა. ეს ადამიანები მიიჩნევენ, რომ ციხის მაგივრად სააკაშვილის სახელობის საკონცენტრაციო ბანაკში უწევდათ ყოფნა. ამასთან, ისინი საკუთარ საქმეებზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნას ითხოვენ.*

*ბევრი მათგანის მოლოდინია, რომ ციხეებში მათ ადგილს სწორედ ის პირები დაიკავებენ, ვის გამოც ისინი გაურკვეველი მიზეზებით ციხეში აღმოჩნდნენ და ფიზიკური თუ მორალური ზეწოლა განიცადეს.*

*„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე თავის ვაჟთან ანზორ ბიწაძესთან ერთად ციხიდან გამოსულ პოლიტპატიმრებს დახვდა. ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა დამთავრდა და ახლა მთავარია სამართალი ბოლომდე აღსრულდეს.*

***For.ge ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა***

**— პოლიტპატიმრებმა ციხეები უკვე დატოვეს. უკვე კეთდება შეფასებები, რომ რეალურად სწორედ დღეს დამარცხდა რეჟიმი.**

— ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამართალიანობა აღდგა და ამ ადამიანებმა დატოვეს საპყრობილეები. ისინი მართლაც ღირსეული ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი სამშობლოს, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ღირსებისთვის იბრძოდნენ მაშინ, როცა ეს ბრძოლა ძალიან საშიში იყო. მეამაყება, რომ ჩვენ თანამებრძოლებად და თანამოაზრეებად დავრჩით, რომ ეს ადამიანები მართლაც ღირსეულად წარმოჩნდნენ არა მარტო ბრძოლის დროს, არამედ — ციხეშიც და კიდევ უფრო ღირსებით აღსავსენი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებსა და ქვეყანას.

ერთი, რაც პრინციპულად შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ სამართლიანობის აღდგენა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ეს ნიშნავს, რომ ის დამნაშავე პირები, რომელთა გამოც სრულიად უდანაშაულო ადამიანები ამდენი ხნის განმავლობაში ციხეში ისხდნენ, მართლაც უნდა წარსდგნენ სასამართლოსა და მართლმსაჯულების წინაშე.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში უპირველესი დამნაშავე არის მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც უკანონო ბრძანებებს ასრულებდნენ, რომლებიც შედიოდნენ და პატიმრების ლეიბებზე ცივ წყალს ასხამდნენ, რათა ადამიანებს ელემენტარულად დაწოლის საშუალება არ ჰქონოდათ, ასევე, ის ადამიანები, რომლებიც პატიმრებს ღირსებას ულახავდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, აუცილებლად უნდა წარსდგნენ სასამართლოს წინაშე.

თუ გვინდა, ნორმალური ქვეყანა გვქონდეს და აღარ მოხდეს ის, რაც აქამდე ხდებოდა, სააკაშვილიდან დაწყებული, ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რომლებიც შეგნებულად ებრძოდნენ სიმართლეს და თავისუფლებას.

**— პრეზიდენტმა ამნისტიის კანონს ხელი არ მოაწერა, რაც აპრიორი ნიშნავდა მის პასუხისმგებლობას, რადგან შეუძლებელია ქვეყანაში პოლიტპატიმრები არსებობდნენ და პრეზიდენტმა ამის შესახებ არ იცოდეს. ამ შემთხვევაში, რას იტყვით მისი მოტივაციის შესახებ?**

— სააკაშვილის პოზიცია სრულიად გასაგებია, რომ მან ხელი არ მოაწერა ამ კანონპროექტს. თავისთავად, ეს მისი მხრიდან აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სააკაშვილი რას აღიარებს და რას — არა. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან, ძალიან ბევრი ახალი ინფორმაცია გამოვა სააშკარაოზე და, რაც არ უნდა ეცადოს სააკაშვილი, ის ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. გარწმუნებთ, მე და ის ადამიანები, ვინც დღეს დაუბრუნდნენ თავისუფლებას, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და არანაირი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩეს.

**— 26 მაისის საქმესთან დაკავშირებული ადამიანები გათავისუფლდნენ. რას გვეტყვით გენერალ უჩავას შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, ხელი დაადო თქვენს მეუღლეს, რაც მოგვიანებით ზეწოლით ახსნა?**

— „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ 25 ადამიანი იჯდა ციხეში, 26 მაისს დაპატიმრებული პირები ყველანი გათავისუფლდნენ, აბსოლუტურად უდანაშაულონი არიან ეს ადამიანები. მე ძალიან ვამაყობ, რომ ჩვენ ერთად ვიბრძოდით სამშობლოს გათავისუფლებისთვის. რაც შეეხება გენერალ უჩავას, მის შესახებ ვერაფერს გეტყვით, იმედია, სიმართლე საბოლოოდ გაირკვევა.

ამნისტიით გამოშვებულ ადამიანებს სააკაშვილი ეძახის ხალხის მტრებსა და ჯაშუშებს...

— ვფიქრობ, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ სწორედ მას დაერქმევა ის სახელი, რასაც ის იმსახურებს — ქვეყნის მოღალატის, საკუთარი ერის გამყიდველის და საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების დამკარგავის. ამიტომ მოხარული ვარ, რომ ქვეყანაში რეალურად დადგა დრო, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**მანანა ნოზაძე**

### ვიზიტი

## მაია ფანჯიკიძე ლატვიის პრეზიდენტს შეხვდა

**ლატვიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ქვეყნის პრეზიდენტ ანდრის ბერზინს შეხვდა.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ორი ქვეყნის ურთიერთობები, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები, ასევე, საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები განიხილეს. ვიზიტის ფარგლებში მაია ფანჯიკიძემ შეხვედრა გამართა ლატვიის პარლამენტის თავმჯდომარესთან სოლვიტა აბოლტინთან.**

**მაია ფანჯიკიძემ ვიზიტს მნიშვნელოვანი უწოდა. „ბალტიის ქვეყნები ეხმარებიან საქართველოს და მხარს უჭერენ ჩვენს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. მნიშვნელოვანი იყო ჩემს კოლეგებთან უშუალო კონტაქტის დამყარება და მათთვის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებზე ინფორმაციის მიწოდება“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.**

**ინტერპრესი**

### ალიან-ჩალიანი



## ბართლომე პირველი: ილია მეორემ ქვეყანაში ერთობის ხატი შექმნა

**მსოფლიო პატრიარქმა, უწმინდესმა ბართლომე პირველმა სიხარული გამოხატა იმის გამო, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქვეყანაში ერთობის ხატი შექმნა.**

**ბართლომე პირველმა საქართველოდან გამგზავრებამდე ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარშემო გაერთიანებულია ერი და ამის ნიშანი იყო საპატრიარქოში გამართული შეხვედრა.**

**კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ საპატრიარქოში ძველით ახალ წელს ერთად შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე. იქ იმყოფებოდნენ, ასევე, მღვდელმთავრები, ჩამოსული მაღალი რანგის სასულიერო პირები.**

**მსოფლიო პატრიარქი მიიჩნევს, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ერის სულიერი მამაა. მსოფლიო პატრიარქმა კმაყოფილება და ბედნიერება გამოხატა, ასევე, ქართველი ახალგაზრდობის მიმართ.**

**— კმაყოფილი და ბედნიერი მივდივარ. გისურვებთ ერთობას. ყველა ქართველს მივულოცავ ახალ წელს. მშვიდობას, სიყვარული და ერთობა სუფევდეს. ილვაწეთ თქვენი ისტორიული და ლამაზი ქვეყნისთვის. ძალიან გაგვახარა საქართველოს ახალგაზრდობამ და მათი რწმენისადმი დამოკიდებულებამ. ვუცქერთ და ვხვდებით, რომ ქართველი ახალგაზრდები ძალიან განსხვავდებიან ევროპელი ახალგაზრდებისაგან. მთელი გულით გაკურთხებთ. დარწმუნებული ვართ ასეთ ერს დიდი მომავალი აქვს. უნეტარესო, მადლობას მოგახსენებთ მასპინძლობისათვის და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, — ბრძანა ბართლომე პირველმა.**

## საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება

**პოლიტპატიმრების საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება, — ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ამნისტიის ერთ-ერთმა ავტორმა ეკა ბესელიამ გლდანის №8 საპყრობილესთან განაცხადა.**

**ბესელიას თქმით, ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა, რომელიც მას ექნება, არის ის, რომ გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას ყველა იმ საქმეს, რომელიც იყო დახურული და გასაიდუმლოებული. — საზოგადოებამ ნახოს, ვის ეძახდა სააკაშვილი ჯაშუშებს და მოღალატეებს. საზოგადოებამ განსაჯოს, როგორ სამარცხვინოდ ხდებოდა ამ საქმეების შეთხზვა. ყველა ფურცელი უნდა გახდეს საჯარო და ამის შემდეგ მათ არ დარჩებათ არაფერი სალაპარაკო. ეს, ალბათ, უახლოეს დღეებში მოხდება, როცა ადვოკატები ამ პროცესში ჩაერთვებიან, — აღნიშნა დეპუტატმა.**

**ბესელიას შეფასებით, 13 იანვარი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღეა არჩევნების შემდეგ და არ არსებობს იმაზე მეტად ღირებული, რომ უკანონოდ დატყვევებული ადამიანი გაათავისუფლო.**

**— დიდი სირცხვილი იყო, რომ ქვეყანას ამ დრომდე ჰყავდა სააკაშვილის პირადი მძევლები და პატიმრები. რაც არ უნდა თქვას დღეს სააკაშვილმა და როგორი ღვარძლიანი განცხადებებიც არ უნდა აკეთოს, ვისაც არ უნდა ეძახოს ხალხის მტერი და ჯაშუში, ფაქტია, რომ ყველაზე დიდი ბოროტება, რაც მან გააკეთა, ქვეყანას გაუკეთა. მას პირადი მძევლები და პატიმრები ჰყავდა. დღეს ჩვენ სააკაშვილის პირადი მძევლები და პატიმრები გავათავისუფლეთ,— დასძინა მან.**

## ისრაელის სავიზო რეჟიმსა და პოლიტიკაში ცვლილებები არ მომხდარა

**ასე ეხმაურება საქართველოში ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართველ მომლოცველთა ჯგუფისთვის საშობაოდ ვიზებზე უარის თქმასთან დაკავშირებით ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.**

**მისივე განმარტებით, ისრაელი აგრძელებს პილიგრიმებისთვის ვიზების გაცემას.**

**— ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი ოფიციალური პოზიცია ისრაელს ჯერ კიდევ არ დაუფიქსირებია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, თუ რა პოზიცია ჰქონდა ისრაელს სავიზო საკითხებთან დაკავშირებით და ის დღესაც უცვლელია: სავიზო რეჟიმსა და პოლიტიკაში არ მომხდარა ცვლილებები, ჩვენ ვაგრძელებთ პილიგრიმებისთვის ვიზების გაცემას. შესაძლოა, რაღაც ინციდენტი მოხდა და ვინმეს უარი უთხრეს ვიზაზე, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ამას რაიმე საერთო აქვს სხვა პოლიტიკურ მოვლენებთან. ამ კონკრეტულ შემთხვევას საერთო არ აქვს სხვა პოლიტიკურ მოვლენებთან. მიუხედავად იმისა, თუ რას ლაპარაკობენ მედიაში, პასუხი ერთია — არა. ჩვენ ვმუშაობთ ისრაელის კანონების თანახმად, სადაც ნათქვამია, რომ ინდივიდუალური ვიზის გაცემისას გადაწყვეტილებას იღებს საელჩო და სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს საელჩომ საქართველოს მოქალაქეებზე 3 740 ინდივიდუალური ვიზა გასცა. ჯგუფური ვიზა კი სხვა, საკმაოდ მარტივი პროცედურის შედეგად გაიცემა. პროცედურა ასეთია: ჯგუფზე პასუხისმგებელი ტურისტული სააგენტო, რომელსაც კონტაქტი აქვს რომელიმე ებრაულ ტურისტულ სააგენტოსთან, განცხადებით მიმართავს ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეს უკანასკნელი განიხილავს მას და სრული უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს იგი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, წელს სულ დაახლოებით 6-7 ათასამდე ქართველი ტურისტი ეწვია ისრაელს, თუ არ ჩავთვლით იმ ადამიანებს, რომლებიც გავლით (ტრანზიტით) იმყოფებოდნენ, — აცხადებს ისრაელის ელჩი.**

## „საქართველო – პოლიტპატიმრების გარეშე“ აღსრულდა!

**რუსი უფლებადამცველები საქართველოში პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ. 2013 წლის 13 იანვარს 190 ქართველი პოლიტიკური პატიმარი გათავისუფლდა! საქართველო გახდა პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც აღიარა პოლიტპატიმრების არსებობა და უარი განაცხადა მოქალაქეთა პოლიტიკური დევნის უფლებაზე! ეს მხოლოდ იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ ოპოზიციამ მიაღწია მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, ამ არჩევნებში გამარჯვებას და ამის შედეგად ხელისუფლების შეცვლას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ქვეყანა, რომელშიც არსებობენ პოლიტიკური პატიმრები (ამ ქვეყნის სს კოდექსში შესაბამისი მუხლის ფორმალურად არარსებობის მიუხედავად), არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად.**

**ბოლო წლებში ჩვენ ამას არაერთხელ ვიმეორებდით საქართველოშიც, რუსეთშიც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც.**

**საქართველოს გადასადგმელი დარჩა ბოლო ნაბიჯი: პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ეს უნდა გახდეს სამართლიანობის აღდგენის აქტი!**

**რუსეთში ჩვენ, სამწუხაროდ, წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი სამართლიანი არჩევნების ჩატარებამდე, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებამდე და მათ რეაბილიტაციამდე. მაგრამ ამისთვის რუსეთს, საქართველოს მსგავსად, სჭირდება ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება.**

**ვულოცავთ გათავისუფლებულ ქართველ პოლიტპატიმრებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, საქართველოს ახალ ხელისუფლებას გონიერების, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის გზაზე დაბრუნებას“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ლუდმილა ალექსეევა, სერგეი კოვალიოვი, ალექსი სიმონოვი, იური რიჟოვი და ერნსტ ჩორნი აწერენ ხელს.**

## 10 პირს თეოლოგიის სამეცნიერო დოქტორის წოდება მიენიჭა

**სადისერტაციო კომისია გუშინ შეიკრიბა, რომელშიც შედიოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე (თავმჯდომარე), ზიმბაბვესა და ანგოლის მიტროპოლიტი სერაფიმე, კონსტანტინიისა და ამოქსტოსის მიტროპოლიტი ვასილიოსი, არქიდიიას მიტროპოლიტი ბასილიოსი, მიტროპოლიტი ილარიონი (გრიგორი ალფეევი, მოსკოვის საპატრიარქო), მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და ეპისკოპოსი მაღალყოვლადუსამღვდელოესი პაისი.**

**თეოლოგიის სამეცნიერო დოქტორის წოდება მიენიჭა შემდეგ დისერტანტებს: მიტროპოლიტ იოანეს (გურამ გამრეკელი), ედიშერ ჭელიძეს(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), სერგო ვარდოსანიძეს (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), დეკანოზ ბიძინა გუნიას(გელათის აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის დოქტორი), დეკანოზ გიორგის (გოჩა) გუგუშვილს, დეკანოზ მიქაელ გალდავას(ფილოლოგიის დოქტორი), დეკანოზ მიქაელ (მიხეილ) ბოტკოველს, არქიდიაკონ დემეტრე (დავით) დავითაშვილს, გიორგი ანდრიაძეს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს (ფილოლოგიის დოქტორი).**

**ინტერპრესი**

# ცუდ შედეგზე თამაში არავისთვის არ იქნება მომგებიანი

„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრება ფსიქოლოგ **მარინა ჩიტაშვილს.**



**– ქალბატონო მარინა, ახალი და წინა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები აშკარად მიუთითებს, რომ ის, რაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების საჯარო ნაწილში ხდება, კოჰაბიტაციისგან შორსაა. გამოიკვეთა, რომ ვიდრე პრეზიდენტს აპრილის პირველ რიცხვებამდე მთავრობის დათხოვნის უფლება აქვს, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ალბათობა რეალურად არსებობს. უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებებისკენ გადადგა ნაბიჯი, რომლითაც აპრილამდე პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის უფლება არ ექნება, მაგრამ ამ ცვლილების განხორციელებაში მიიღებს თუ არა უმცირესობა მონაწილეობას, კვლავ გაურკვეველი რჩება. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის განცხადებების უკან ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების სურვილი აშკარად იკვეთება, შესაბამისად, გამორიცხული არაა, პრეზიდენტმა ირაციონალური გადაწყვეტილებები მიიღოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ აპრილამდე და აპრილის შემდეგ, ოქტომბრამდე პოლიტიკური სცენა კვლავ არა თანამშრომლობის, არამედ ღია დაპირისპირების არენად დარჩება. თქვენ როგორ შეაფასებდით 2013 წლის დასაწყისისთვის შექმნილ რეალობას და მისი მშვიდობიანად განვითარების პერსპექტივას?**

— საქართველო შეჩვეულია ორი ტიპის რეალობაში ცხოვრებას. ერთია ვირტუალური რეალობა და მეორეა რეალობა, რომელშიც ჩვეულებრივი ადამიანები სხვა ყოფით სიტუაციებში ცხოვრობენ. ვირტუალური რეალობის თვალსაზრისით სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ნიშნავს იმას, რომ მას კიდევ აქვს იმის განცდა, რომ შეუძლია პროცესების თავად მართვა. სააკაშვილს, სამწუხაროდ, გამოაკლდა მთავრობა, რომელიც ასრულებდა ყველა მის წარმოდგენას, აჩვენებდა ვირტუალურ რეალობაში არსებობის შესაძლებლობას, ახლა რეალური მთავრობის ლიდერი აღარ არის მისი გუნდი. თუ სააკაშვილის განცხადებებს თანმიმდევრულად მივყვებით, შესაბამისად, ძირითადი პრობლემა ისეთი გვაქვს – ოქტომბერს მან გამოაცხადა, რომ იგი გადადის ოპოზიციაში, შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ეს ოპოზიცია ამბობდა – „ჩვენ გაბრეთ მთავრობა“ და ჩვენ ასეთი კარგები ვართ, თუმცა, გადადიოდა ოპოზიციაში და ცხადდებოდა, რომ „ნაციონალებმა“ მიიღეს მაჟორიტარული ოლქების უმეტესობა. აღმოჩნდა, რომ მათ მაჟორიტარული ოლქების უმეტესობა ვერ მოიგეს, შესაბამისად, პრეზიდენტი გადავიდა ოპოზიციაში და დაიწყო თავისი ბერკეტების ამოქმედება, რომლებსაც კოჰაბიტაციის პირობებთან არანაირი კავშირი არ აქვს, ანუ, იმის კვალობაზე, რაც თვითმმართველობებში და გუბერნატორების დანიშვნასთან დაკავშირებით ხდება, განცხადებები, რომ მათ ხელისუფლება მშვიდობიანად გადააბარეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც და მაინც დაცული არ იყო. მიუხედავად ამისა, ჯერ არანაირი პრობლემა არ ყოფილა პროცესების მშვიდობიანად განვითარებისთვის.

რაც შეეხება აპრილთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას, ასეთი ვითარება გვაქვს – სააკაშვილი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას იმისათვის, რომ მიიქციოს ყურადღება, ხოლო მთავრობა და პარლამენტი ცდილობენ, მისი განუსაზღვრელი უფლებები, რაც მას კონსტიტუციით აქვს გარანტირებული, გარკვეულწილად მოაქციონ რაციონალურობის ჩარჩოში, რომ მას პოლიტიკური კრიზისის შექმნის საშუალება არ მიეცეს. კრიზისი არ იქნება ისეთი მასშტაბის, როგორიც ჰგონია სააკაშვილს, რადგან ეჭვი მაქვს, ძალიან ბევრი „ნაცმოძრაობელი“ არ ფიქრობს, რომ ამგვარი კრიზისი მათთვის რაიმე გამოსავალი იყოს, გარდა იმისა, რომ დააზარალოს ქვეყანა ბევრი თვალსაზრისით, ანუ გაიზარდოს უკმაყოფილება ახალი ხელისუფლების მიმართ. ყველა შემთხვევაში ახალ ხელისუფლებას მოუწევს ამგვარ კრიზისთან გამკლავება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კრიზისი დადგა და მას ხელისუფლება გაუმკლავდა, ეს ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს სააკაშვილის იმიჯის გაუმჯობესებას ვერც ქვეყნის გარეთ და ვერც ქვეყნის შიგნით. 2013 წლის აპრილისთვის ნებისმიერი კრიზისის შექმნა პრეზიდენტისთვის ერთმნიშვნელოვნად საზიანო იქნება. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ის ოქტომბრამდე პრეზიდენტის რანგში ველარ მივა.

> **რაც შეეხება აპრილთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას, ასეთი ვითარება გვაქვს – სააკაშვილი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას იმისათვის, რომ მიიქციოს ყურადღება, ხოლო მთავრობა და პარლამენტი ცდილობენ, მისი განუსაზღვრელი უფლებები, რაც მას კონსტიტუციით აქვს გარანტირებული, გარკვეულწილად მოაქციონ რაციონალურობის ჩარჩოში, რომ მას პოლიტიკური კრიზისის შექმნის საშუალება არ მიეცეს.**

ჩემი აზრით, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ იგი ვერ შეცვლის ხელისუფლებას, მაგრამ მისი სურვილია ახალ ხელისუფლებას ქვეყნის გარეთ, როგორც გაუგებარ წარმონაქმნს, რომელიც მის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა, საბოლოოდ გაუფუჭოს იმიჯი. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით, ისინი შეეცდებიან მაქსიმალურად არიონ სიტუაცია და გააგრძელონ საუბარი იმ მითზე, რომ რუს ოლიგარქს რუსეთიდან ფული შემოაქვს, იგი რუსული ორიენტაციისა და შიდაკონფლიქტების გაღვივების ფონზე ქვეყანა ნაბიჯებს უკან დგამს. შესაძლოა, ეს იყოს თამაში უარესი შედეგისთვის, მაგრამ თუ სააკაშვილს ჰგონია, რომ ის თამაშობს თამაშს მისთვის უკეთესი შედეგისათვის, ეს მცდარია, რადგან მას არ ჰყავს მთავრობა და პარლამენტი, რომელიც მას მხარს დაუჭერს. თუ სააკაშვილს მისი მხარდამჭერების ძალაზე აქვს გათვლა, უნდა ვთქვა, რომ ყოველი შემთხვევისათვის მანიფესტირებული მისი მხარდამჭერების რაოდენობა ძალიან მცირეა, ხოლო თუ მას იმედი აქვს იმისა, რომ რეგიონებში შეიარაღებული ხალხი სააკაშვილს უჭერს მხარს, როგორც ეს არჩევნებამდე ცხადდებოდა, ამ ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მცირეა იმასთან შედარებით, რაც შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ჯარშია, რომელიც შიდა პრობლემებში არასოდეს ჩაერევა.

**— დიდი ამნისტია ძალაში შევიდა და ციხეებიდან მსჯავრდებულთა გამოშვების პროცესი დაიწყო. საზოგადოების დიდი ნაწილი ამნისტიის ამოქმედებით უკმაყოფილებასა და შიშებს არ მალავს, რაშიც თავისი წვლილი წინა ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ ტელევიზიებსაც შეაქვთ. თუმცა, საკითხავი ნამდვილადაა კრიმინოგენური ვითარების გართულებას ამნისტირებულები შეუწყობენ ხელს, თუ პრეზიდენტის მიერ ბოლო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ შეწყალებულები, რომელთა რაოდენობამ სხვადასხვა მონაცემებით 1500-ს გადააჭარბა. თქვენი აზრით, როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია საქართველოში განხორციელებულ ფართომასშტაბიან ამნისტიაზე? რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებულები აქტიურად აღმოჩნდებიან ჩართულნი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნაში?**

— ცოტა გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან არ ვიცი კრიტერიუმები, თუ როგორ იწყალებს პრეზიდენტი მსჯავრდებულებს. ვიცი კრიტერიუმები, თუ როგორ იქნა მიღებული ამნისტია. შესაძლოა, ამ 1500 კაცში მართლაც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ეკუთვნოდათ შეწყალება, მაგრამ შეიძლება იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გარკვეული შერჩევითი სამართლის პრინციპით არიან გათავისუფლებულები. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ აქამდეც ყოფილა ამის პრეცედენტი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული ადამიანების პრეზიდენტის მიერ შეწყალება ამის კარგი მაგალითია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია საქართველოში განხორციელებულ ამნისტიაზე, პასუხი მარტივია - არა მგონია, რომ ნებისმიერ ამნისტიაზე, რომელიც საქართველოში განხორციელდება, დასავლეთს ჰქონდეს უარყოფითი რეაქცია. განსაკუთრებით იმის კვალობაზე, რომ ამ ეტაპზე ამნისტია ეხებათ პოლიტიკური სტატუსის მქონე ადამიანებს. თუ რამდენად შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მომტანები, ამას, ალბათ, დრო და სივრცე გამოაჩენს. რაც შეეხება იმას, თუ რას იზამენ პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ადამიანები, ჩემი აზრით, ალბათ, ამ ადამიანებშიც გარკვეული ნაწილი დაუბრუნდება ჩვეულებრივ ცხოვრებას, ხოლო გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, გააგრძელებს იგივე ტიპის ქცევას, რომელიც მათ აქამდე ჰქონდათ. თუ მათი შეწყალების წინაპირობა იყო შერჩევითი პრინციპით გათავისუფლება, ისინი დარჩებიან იმ ადამიანის სამსახურში, რომელსაც უმადლიან გათავისუფლებას.

**— საინტერესო თემაა უმრავლესობისა და უმცირესობის საინფორმაციო პოლიტიკის თავისებურებების საკითხები. წინა ხელისუფლება ქვეყანას გარკვეულ პერიოდამდე სატელევიზიო პიარით საკმაოდ წარმატებით მართავდა. სამწუხაროდ, პიარის სიტუაციურ აუცილებლობას ეწირებოდა როგორც ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები, ისე გამოწვევები და საფრთხეებიც კი. არჩევნების შემდეგ წინა ხელისუფლება აშკარად შეტევაზეა გადასული და ამ თვალსაზრისით წარმატებებიც აქვს. კერძოდ, უმცირესობამ შეძლო საჯარო სივრცეში დაემკვიდრებინა აზრი, რომ ახალი ხელისუფლება წინასაარჩევნო დაპირებებს არ ასრულებს, რომ ოპონენტების მიმართ პოლიტიკურ დევნას ახორციელებს და შერჩევითი სამართლის პოლიტიკას ატარებს.**

**რჩება შთაბეჭდილება, რომ საინფორმაციო სივრცის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს არა ახალი ხელისუფლება, არამედ წინა ხელისფლება ასრულებს. ეს ეხება არა მარტო დაკავებულებსა და ძებნილებზე ინფორმაციის გავრცელების სიხშირეს. თქვენი აზრით, რა შეიძლება ითქვას საინფორმაციო სივრცეში არსებულ რეალობაზე? ახალი ხელისუფლება საინფორმაციო პოლიტიკის მართვის ტექნოლოგიებს არ ფლობს, თუ მას სურს საზოგადოებას საჯარო სივრცეში პოლიტიკური კულტურისა და ქცევის ახალი სტანდარტები შესთავაზოს?**

— ძალიან რთული კითხვაა. მე მხოლოდ შემიძლია გამოვიდე იმ სიტუაციიდან, რომელიც დღეისათვის არის. ტელეკომპანია „რუსთავი-2“ თავისი გავრცელების არეალით და პროფესიული სტანდარტით მაყურებელთა ძალიან დიდ რაოდენობას ინარჩუნებს. რაც შეეხება ახალი საინფორმაციო პოლიტიკის გაკეთებას, ეს გულისხმობს იმას, თუ რისი გაკეთება შეუძლია ხელისუფლებას. პირველი - საზოგადოებრივი არხი გახადოს რეალურად საზოგადოებრივი, რომელსაც ხალხი დაუწყებს ყურებას. მმართველობის შეცვლის შემთხვევაშიც, ტელევიზია მყისიერად, ჯადოსნური ჯოხის პრინციპით ვერ ამუშავდება. ხელისუფლება კერძო კომპანიების საქმიანობაში ვერ ჩაერევა. ამიტომ, გარკვეულ ეტაპზე საინფორმაციო სივრცეში არსებული ვითარება ახალი ხელისუფლების სასარგებლოდ არ იქნება. უნდა ითქვას იმაზეც, რაც პრინციპში „რუსთავი-2“-ის ჭკვიანურ გათვლაზე მიუთითებს. „რუსთავი-2“-ში აღარ არის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი სიუჟეტები ახალ ხელისუფლებაზე, მოიმატა პოზიტიური და ნეგატიური მოვლენების კრიტიკულმა გაშუქებამ და იგი წინანდელივით ერთმნიშვნელოვნად ტენდენციური აღარაა.

„იმედზე“ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი იმიტომ, რომ ტელევიზიებს ნაკლებად ვუყურებ. მას შემდეგ, რაც „იმედში“ მმართველობა შეიცვალა, როგორი ტიპის ტელევიზიად უნდა შევაფასოთ, არ ვიცი, ამიტომ ამ თემას გვერდზე გადავდებ. რაც შეეხება „მაესტროს“, „მე-9 არხსა“ და „კავკასიას“, ბოლო კვლევების მონაცემებით, მათი მაყურებლების რაოდენობა ნამდვილად ვერ შეედრება „რუსთავი-2“-სას, მიუხედავად იმისა, რომ კაბელური ტელევიზიების საშუალებით ამ ტელევიზიების ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად შეუზღუდავია.

ფაქტობრივად, ახლა საუბარია იმაზე, რომ ძალიან ძნელია კონკურენცია გაუწიო „რუსთავი-2“-ს, რომელსაც მაუწყებლობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. და ეს მაშინ, როცა სხვა ტელევიზიები სულ ცოტა ხნის წინათ მწირი ტექნიკური საშუალებებით მაუწყებლობდნენ. ჩემი აზრით, ასეთ ვითარებაში ხელისუფლებისთვის ალტერნატიული საინფორმაციო წყაროს გაკეთება იქნებოდა თბილისში დაბრუნდეს პრესის ჯიხურები, რომელშიც პრესა თავისუფლად გაიყიდებოდა. აღარ იყოს ის გაუგებრობა, რომ თურმე პრესის ჯიხურები ხელს უშლის რაღაცას და იქ მაინც და მაინც ბოსტნეულის ბაზრობები უნდა მოეწყოს. და კიდევ, მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი რეგიონებში პრესის გავრცელებას. ხელისუფლების მხრიდან ალტერნატიული საინფორმაციო პოლიტიკის გატარებისთვის ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

> **ივანიშვილის გულწრფელობა მომხიბვლელია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. ივანიშვილის გულწრფელობა არ არის მომხიბვლელი საზოგადოების საკმაოდ მცირე ნაწილისთვის, ანუ იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თავს მიიჩნევს გარკვეული ტიპის ელიტად და პარალელურად პოლიტიკურ ექსპერტიზას ეწევა. ივანიშვილი გულწრფელი ადამიანია და მას არ ეშინია იმის თქმა, რომ ის პირველად მოდის პოლიტიკაში.**

**— ბევრს შეუმჩნეველი არ დარჩენია საჯარო სივრცეში პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის აშკარა გულწრფელობა, რაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის უცხო ხილია. საზოგადოება სააკაშვილისგან პატარ-პატარა, ზოგჯერ დიდ ტყუილს მიჩვეული კი იყო, მაგრამ პატარასა თუ დიდ ტყუილს მაინც იოლად იჯერებდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილს პროცესების მართვაში პრობლემებს მისივე განცხადებები უქმნის, რის მაგალითადაც მოჰყავთ პრესკონფერენციაზე მის მიერვე ნათქვამი, რომ „სამწუხაროდ, ტარიფები ვერ განახევრდება“, თუმცა, ამგვარი დაპირება მას წინასაარჩევნოდ არც გაუცია, ანდა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, რომელიც აბსოლუტურად სხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული. თქვენი აზრით, ივანიშვილს პრობლემებს მართლა უქმნის თუ არა მისივე განცხადებები? და კიდევ, მისი ქცევის ამგვარი სტილი შემთხვევითობად უნდა მივიჩნიოთ თუ წინასწარ გააზრებულ ქმედებად?**

— ივანიშვილის გულწრფელობა მომხიბვლელია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. ივანიშვილის გულწრფელობა არ არის მომხიბვლელი საზოგადოების საკმაოდ მცირე ნაწილისთვის, ანუ იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თავს მიიჩნევს გარკვეული ტიპის ელიტად და პარალელურად პოლიტიკურ ექსპერტიზას ეწევა. ივანიშვილი გულწრფელი ადამიანია და მას არ ეშინია იმის თქმა, რომ ის პირველად მოდის პოლიტიკაში, რომ გარკვეული პოლიტიკური ტერმინები პირველად გაიგო, არ ეშინია გამოთქვას თავისი მოსაზრებები და შემდეგ სიტუაციისა და რეალური შეფასების მიხედვით მათში კორექტივები შეიტანოს.

თუკი ჩვენ ამას შევხედავთ საბჭოური მენტალიტეტის კუთხიდან, ასეთ შემთხვევაში ივანიშვილი ძალიან ცუდად იქცევა. საბჭოთა ლიდერებმა ყველაფერი იცოდნენ და მათ ყველა კითხვაზე ჰქონდათ პასუხი და ის, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ივანიშვილი არ არის საბჭოთა მემკვიდრეობის ტიპის ლიდერი, ამიტომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის ხმამაღლა აზროვნებს. დაახლოებით ასეთი ტიპის ხმამაღალი აზროვნება დამახასიათებელი იყო 50-იანი წლების მიწურულსა და მერე სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერებისთვის, რომლებიც ხალხთან ერთად ცდლობდნენ კეთილდღეობის საზოგადოების აშენებას.

**— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ ჩოქბჯენშია გადასული, რაზეც ყველა მოვლენაზე ორივე მხრიდან მყისიერი რეაქცია და პრესინგიც მიუთითებს. ამის კარგი მაგალითია ივანიშვილის მხრიდან წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიტევების ფორმის შემუშავებაზე გაკეთებული განცხადება, რომელსაც უმცირესობის დეპუტატი ზურაბ ჯაფარიძე გამოეხმაურა — „ივანიშვილისგან მიტევება არავის სჭირდება“. ან ვეტერანებზე ზრუნვის შესახებ გასული წლის ბოლოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც პრეზიდენტის სახელით მისივე პრესსპიკერი მყისიერად გამოეხმაურა. იგივე შეიძლება ითქვას, როგორც გაირკვა, პრეზიდენტის მიერ კანონის დარღვევით პასუხისმგებლობაში მყოფი პირის თენგიზ გუნავას სამეგრელო-ზემო სვანეთში რწმუნებულად დანიშვნაზე, ანდრო ბარნოვის შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში ხათუნა ოჩიაურის რწმუნებულად დანიშვნაზე. მოკლედ, რჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი ახალ ხელისუფლებას კუკუ-დამალობანას ღიად ეთამაშება, რის გამოც სულ უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ამ თამაშ-თამაშში ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდეს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?**

— პოლიტიკურ კრიზისში მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აღმოვჩნდებით, თუ სააკაშვილსა და მის გუნდს ექნებათ რაციონალური გათვლა, რომ ეს მათ წაადგებათ. პოლიტიკური კრიზისის შექმნა მათ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ წაადგებათ. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა უნდა გააცნობიერონ, რომ თამაში უარყოფით შედეგზე, არც მათთვის და არც ქვეყნისთვის არ არის კარგი თამაში და ეს მათთვის საბოლოო ჯამში მომგებიანი ვერ იქნება. თუ ისინი მუშაობენ პრინციპით — ჩვენს შემდეგ წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი და აქ საერთოდ არაფერი დარჩენილა, — მაშინ, როგორც იტყვიან, ეს მათი ინდივიდუალური არჩევანია. ვიმეორებ, რაციონალური თვალსაზრისით ამ ეტაპზე ეს თამაში მათთვის წამგებიანია. წამგებიანია არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ შიგნითაც, იმიტომ, რომ საქართველოში 2008 წლის შემდეგ, როცა ქვეყნის გარეთ არავის ინტერესში არ იყო პროცესების ისე განვითარება, როგორც განვითარდა, ყველაფერი ეს რითი დასრულდა, ჩვენ უკვე ყველამ ვნახეთ.

**— თქვენი აზრით, აქვს თუ არა ახალ ხელისუფლებას ბოლომდე გააზრებული წინა ხელისუფლების მიერ ხრიკების დადგმის შესაძლებლობების საფრთხე და წინასწარ აქვს თუ არა განჭვრეტილი, რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ მოვლენას, ან არსებულ კონფრონტაციულ ფონზე მოვლენების განვითარებას?**

— იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად ცრუობს, როგორც გაირკვა, ეს ეხება არა მარტო პოლიციელების მიერ ქრთამის აღების არარსებულ ფაქტებს და სხვა ფაქტებსაც, ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ქართულ და ინგლისურ ენებზე სპეციალური ვებგვერდის გაკეთება, რასაც დიდი დრო არ დასჭირდებოდა და სადაც განთავსდებოდა ყველა მისი განცხადება და ის, თუ რას უპასუხებენ მას მისივე განცხადებებზე ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურები.

რაც შეეხება თავად კითხვას, ახალი ხელისუფლების ხელშია მთელი სტრუქტურები და მათი მოვალეობაა, გაითვალისწინონ მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო სცენარი და არ დაუშვან მოვლენათა არამშვიდობიანი და არასასურველი განვითარება.

**კობა ბენდელიანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კანონი უნდა აღსრულდეს!

**თბილისის ქუჩებსა და მცხეთაში მაღაზიებისა და კაფეების მეპატრონეებს დაავიწყდათ, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენა არის ქართული და არა ინგლისური. ან შესაძლებელია ეს ამბავი არ დავიწყებიათ, ახსოვთ, მაგრამ ქართული ენის სტატუსს არაფრად აგდებენ — მთავარია, უცხოელ ტურისტებს ინგლისურენოვანმა წარწერებმა თვალი მოჭრას, დანარჩენი კი მეასეხარისხოვანია, რადგან მაღაზიებისა და კაფეების მეპატრონეებმა იციან, რომ ნაკლებად სავარაუდოა ამაზე ვინმემ პასუხი მოსთხოვოთ.**

**for.ge დაინტერესდა თბილისის ქუჩებში მაღაზიებსა და კაფეებზე მომრავლებული ინგლისურენოვანი წარწერების კანონთან შესაბამისობის საკითხით და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტს ქეთი კრაწაშვილს წერილობით მიმართა, რომელზეც ამომწურავ პასუხს ამ მასალაში შეგიძლიათ გაეცნოთ.**

**იურისტ ქეთი კრაწაშვილისათვის for.ge-ს მიერ გაგზავნილი კითხვები ასეთი შინაარსისაა:**

**— არეგულირებს თუ არა კანონი იმას, რომ სხვადასხვა მაღაზიებზე, სავაჭრო ცენტრებსა და სასტუმროებზე წარწერა უნდა იყოს ქართულ და არა უცხოურ ენაზე? თუ ამ საკითხს კანონი არ არეგულირებს, მაშინ ეგებ განმარტოთ რამდენად მართებულია ეს? კანონში არსებობს თუ არა ნორმა, რომელიც განსაზღვრავს რა ტიპის სასჯელი ელით იმ მაღაზიებისა და სასტუმროების მეპატრონეებს, ვისაც წარწერები მხოლოდ უცხო ენაზე აქვთ გაკრული?**

იურისტ ქეთი კრაწაშვილის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა, ზოგადად ქართულ ენასთან მიმართებაში, ამგვარია:

კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული და სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა, ნებისმიერ სფეროში უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქნეს მიიჩნეული. სახელმწიფო ენის დაცვის მიზნით, სპეციალური ღონისძიებების საჭიროების შესახებ აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციაზე იერარქიით დაბლა მდგომ აქტებშიც, რომლებიც, სავალდებულო წესით უნდა შეესაბამებოდნენ საქართველოს კონსტიტუციას. დასახელებულთაგან ერთ-ერთია საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“.

იურისტის თქმით, მაღაზიებზე, სავაჭრო ცენტრებზე, სასტუმროებსა და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებებზე წარწერების გაკეთება კომერციული მიზნით, პოტენციური მომხმარებლისათვის საკუთარი დანიშნულების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, პროდუქციისა და მომსახურების შესათავაზებლად ხდება — მეწარმე სუბიექტის ოფისზე, ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) ნებისმიერი ზომის წარწერის გაკეთება, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და სხვა, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სარეკლამო საქმიანობად მიიჩნევა.

„რეკლამის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამავე კანონში. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, სხვადასხვა დაწესებულებებზე წარწერების განთავსების რეგულაციასთან დაკავშირებით, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

იურისტ ქეთი კრაწაშვილის განმარტებით, აღნიშნული კანონი რეკლამისადმი აწესებს ზოგად და სპეციალურ მოთხოვნებს. რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა. რეკლამის გაგებასა და ადეკვატურად აღქმას უპირველესად მისი იმ ენაზე წარმოჩენა წარმოადგენს, რომელიც ცნობილია პოტენციურ მომხმარებელთა უმრავლესობისათვის. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ დათქმას აკეთებს და განსაზღვრავს, რომ რეკლამა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაზე უნდა გავრცელდეს. ამასთან მიუთითებს რომ, „ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“.

კანონის მე-4 მუხლში, ასევე, დაკონკრეტებულია უცხო ენაზე შესრულებული წარწერების რეგულირების საკითხი და აღნიშნულია, რომ უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია, ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.




# არაქართული წარწერებით „დამშვენებული“ მცხეთა და თბილისი




**ქეთი კრაწაშვილი:** „შესაბამისად, სარეკლამო წარწერების განმთავსებლები ვალდებულნი არიან დაიცვან ენობრივი ნორმები და უცხოური წარწერების გვერდით არ დააკნინონ ქართული წარწერების მნიშვნელობა და ხილვადობა. რაც შეეხება სარეკლამო წარწერის მხოლოდ უცხო ენაზე გაკეთებას, ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთაა აღნიშნული, კანონის იმპერატიული მოთხოვნა არსებობს და დაუშვებლად არის მიჩნეული (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი).

როდესაც შესაფასებელია სამართლებრივი ხარვეზის არსებობა-არარსებობის საკითხი, მნიშვნელოვანია შეფასდეს უკვე არსებული სამართლებრივი რეგულაციები და ის, თუ არსებული კანონმდებლობა, რამდენად აღწევს, თავის მიერვე დასახულ მიზანს. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ „კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესის, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა“. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი ქმნის წარწერების გაკეთებისას ენობრივი ნორმების დაცვის გარანტიებს, მაგრამ მე-6 მუხლის მე- 8 პუნქტით, ფაქტობრივად ანახევრებს თავისი დაცვის სფეროს და ტოვებს იმპერატიული რეგულაციის გარეშე, სწორედ, იმ საკითხს, რასაც თქვენი კითხვა ეხება. მაგრამ აქვე დასაზუსტებელია ისიც, რომ, კანონი რეკლამად არ მიიჩნევს მხოლოდ იმ წარწერას, რომელიც შინაარსობრივად ასახელებს ოფისში განთავსებულ ობიექტს.

რაც შეეხება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობის საკითხს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად:

1. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით;

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

რეკლამების გავრცელებაზე კონტროლი და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრება, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების კომპეტენციას“.

**ბოლოთქმა: for.ge უახლოეს პერიოდში გაცნობებთ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, იურისტების დახმარებით რა ქმედით ნაბიჯს გადავდგამთ იმისთვის, რომ მაღაზიებისა და კაფეების მეპატრონეებმა დაიცვან კანონი — საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც ყველა დანარჩენ კანონთან მიმართებაში აქვს უპირატესი უფლება. როგორც მასალის დასაწყისშია აღნიშნულია, კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული და სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა ნებისმიერ სფეროში უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.**

ნინო მიქიაშვილი

## ალიან-ჩალიანი

### პატიმრობიდან გათავისუფლდნენ

**თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ხვიჩა საბაშვილი, გიორგი გაბრაშვილი, გაბრიელ პავლიაშვილი, თამაზ ბეგიაშვილი და ზაზა ბეთლემიძე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გათავისუფლდნენ. მათ აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 2000-2000-ლარიანი გირაოთი შეეცვალათ.**

**ბრალდებულების ადვოკატების შუამდგომლობას თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე პროკურატურაც დაეთანხმა. პროკურატურა შუამდგომლობას მხოლოდ ძებნაში მყოფ მალხაზ კაკალაშვილთან მიმართებაში არ ეთანხმებოდა.**

**ამასთან, ოქრუაშვილთან ერთად ბრალდებულებს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ამნისტიაც შეეხოთ, თუმცა, სასამართლო პროცესზე მათ დააფიქსირეს, რომ ამ ეტაპზე ამნისტიით სარგებლობას არ აპირებენ. როგორც მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ განმარტა, აღნიშნულ პირებს გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში ეხებათ ამნისტია.**

### სასამართლოს 600-მდე ამნისტირებული პატიმრის საქმე გადაეცა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს 600-მდე ამნისტირებული მსჯავრდებულის საქმე გადაეცა. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ მიქანაძემ განაცხადა, დღეიდან სასამართლოებისთვის საქმეების მიწოდება დაიწყო. მისი თქმით, საქმეების მიწოდება ხდება ეტაპობრივად, სასამართლოების თხოვნით და მათთან შეთანხმებით, რომ ერთბაშად არ მოხდეს ძალიან ბევრი საქმის მიწოდება.**

**— ჩვენ ორკვირიანი ვადა გვაქვს იმისთვის, რომ სასამართლოებს სრულად გადავცეთ საქმეები, მაგრამ სამინისტრო და დეპარტამენტი მაქსიმალურად მობილიზებით მუშაობს, რომ დაახლოებით 4-5 დღეში ყველა საქმე იყოს სასამართლოსთვის მიწოდებული. ამ ეტაპზე სასამართლოს გადაეცა 600-მდე მსჯავრდებულის საქმე, — აღნიშნა მიქანაძემ.**

**მისივე განმარტებით, სასამართლოებს საქმეების განხილვისთვის გააჩნიათ ორთვიანი ვადა, ამის შემდეგ კი, სასამართლოს გადაწყვეტილება ეცნობება სასჯელაღსრულების სამინისტროს და მისი აღსრულება დაუყოვნებლივ მოხდება. როგორც მიქანაძემ აღნიშნა, სასამართლოებს 18 500-მდე მსჯავრდებულის საქმე გადაეცემა.**

### საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გადამზადების ახალი პროგრამა გაიხსნა

**გადამზადების ახალი პროგრამის გახსნას პოლიციის აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წევრები დაესწრნენ.**

**შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, აკადემიაში დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები და განსაკუთრებული ყურადღება პოლიციელის საზოგადოებასთან ურთიერთობას მიექცევა. მისივე თქმით, შემუშავდა მსმენელთა მიღების ახალი წესი და კანდიდატებს ტესტირება და გასაუბრება ახალი მეთოდებით ჩაუტარდებათ.**

**ამასთან, პოლიციის აკადემიის რექტორ ნუკრი გელაშვილის თქმით, გადამზადების პროგრამა ათკვირიანი იქნება, რომელიც საზოგადოების მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული და მეტი დრო დაეთმობა ადამიანის უფლებებს. მისივე ინფორმაციით, კურსის შემუშავების პროცესში აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობდა ამერიკელ კოლეგებთან.**

**გადამზადების ახალი პროგრამის დაწყებას მნიშვნელოვნად აფასებენ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები. პატრულ-ინსპექტორების თქმით, აღნიშნული პროგრამა საჭიროა მეტი უნარების შესაძენად, მოქალაქეებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, პროფესიული ზრდისა და წინსვლისთვის.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ეკონომიკური სარკე



# მშვიდობიანად გამასტუმრებინე ვალები...

**ახალი წელი სულ რამდენიმე დღეა შემობრძანდა, ამდენად, გასულის შედეგების სრულად დაანგარიშებას, მით უმეტეს ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, კიდევ გარკვეული დრო სჭირდება, თუმცა კი ზოგიერთ მაჩვენებელზე ლაპარაკი, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამთავითვეა შესაძლებელი.**

ადრეც გვითქვამს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მნიშვნელოვანი არჩევნები ტარდება, როგორც ეს შარშან საქართველოში მოხდა, უცხოური ინვესტიციების შემოდინება იკლებს, რაც სავსებით გასაგებია, თუმცა კი ეს თემა ბოლო დროს გარკვეული სპეკულაციური განცხადების საფუძველი გახდა. კერძოდ, შარშან მესამე კვარტალის მანძილზე, საქართველოში 95 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიური პერიოდის დაზუსტებული მაჩვენებლის 62 პროცენტია. მთლიანად კი, შარშან ცხრა თვეში საქართველოში 684 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 91 მილიონი დოლარით ნაკლებია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. უცხოური ინვესტიციების ნაკადის ყველაზე მნიშვნელოვანი წილი — 46 მილიონი დოლარი — საფინანსო სექტორში შევიდა, რომელსაც 40 მილიონით ენერგეტიკა და 33 მილიონის მიმღები ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა მიყვებიან.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), რომლის ზრდა, შარშანდელი ცხრა თვეს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 7,5 პროცენტი იყო. თუ მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაზე ვილაპარაკებთ, ყველაზე მაღალი შედეგი ამ მხრივ მრეწველობასა და ვაჭრობაშია მიღწეული, რაც ამ უკანასკნელისთვის ბოლო წლებში უკვე ტრადიციადაა ქცეული (შესაბამისად, 18,1 და 17,1 პროცენტი). რაც შეხება ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ დარგებს, მეტ-ნაკლები წარმატებებია მიღწეული ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, სახელმწიფო მმართველობაში, მშენებლობასა და სხვ.

ქვეყნის „ფინანსური ჯანმრთელობის“ უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია როგორც საგარეო, ისე საშინაო სახელმწიფო ვალები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ საგარეო ვალის წილად მთლიანი სახელმწიფო ვალის 79 პროცენტი მოდის, 21 პროცენტი კი საშინაოზე. ციფრული გამოხატულებით, ცხრა თვის მანძილზე იგი 3 მილიარდ 941 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი იყო, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 333 მილიონ დოლარზე მეტადაა მომატებული. უნდა ითქვას, რომ საკრედიტო რესურსის უმეტესი ნაწილი შეღავათიანია, მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგანაა მიღებული. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრედიტების შეღავათიანი სტრუქტურის წყალობით, მათზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიურ მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების პირობებში, მსოფლიოს საფონდო ბირჟებზე არამდგრადი წონასწორობის გათვალისწინებით, რაც,თავის მხრივ, სხვადასხვა რეგიონში მზარდი პოლიტიკური დაძაბულობითაა განპირობებული, საქართველოს მთავარი საფინანსო ინსტიტუტის ხელმძღვანელობას სწამს, რომ საგარეო ვალის მომსახურებამ დიდი პრობლემები არ უნდა შეგვიქმნას. ამის წინაპირობას ფინანსთა სამინისტრო დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთითა და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკით, აგრეთვე დაბალი, ადვილად გადასახდელი ყოველწლიური გადასახადებით ხსნის. იმასაც აცხადებენ, რომ, ნებისმიერი ერთი ფისკალური წლის მანძილზე, საგარეო ვალის მომსახურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მიიმართება, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად მყარ საფუძველს ქმნის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ვალი მშპ-ს არ უნდა აჭარბებდეს, თუმცა კი ბოლო წლებში ვალის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპზე მაღალია, რაც აშკარად უარყოფითი ტენდენციაა. ეს კი, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ მთავრობას, მით უმეტეს მის ეკონომიკურ გუნდს, უაღრესად დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.

ამასთან, ქვეყნის ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რადგან ამას ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკის თუნდაც დაბალი, მაგრამ გარკვეულწილად სტაბილური განვითარებისთვის ხელის შესაწყობად, ყველაზე მნიშვნელოვანია ფასების სტაბილურობა, რყევის ამპლიტუდის მქონე ინფლაცია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიზანს ფასების ზრდის დინამიკაზე კონტროლის ქონა და გარკვეულ პერიოდში მათი ზრდის შეჩერებაა. საქსტატის მონაცემებით, შარშანდელი მეოთხე კვარტალის დამდეგისთვის სამომხმარებლო ფასებმა ქვეყანაში, წინა პერიოდთან შედარებით, საშუალოდ 0,05 პროცენტით **მოიმატა**, ხოლო ოქტომბერში წლიური ინფლაციის დონემ მანამდე დაფიქსირებული — 0,1-დან 0,1 პროცენტამდე გაიზარდა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამომხმარებლო ფასების ცვლილება ძირითადად საწვავისა და სურსათის ფასებს შეეხებოდა. ამ უკანასკნელ სასაქონლო ჯგუფში ფასების კლება, ცხადია, უწინარესად, სეზონური ფაქტორით იყო განპირობებული.

ბოლოს კი ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს გვინდა მივაპყროთ, როგორიცაა ქვეყნის საგარეო ვაჭრობა, რომელმაც შარშანდელი სამი კვარტალის სტატისტიკური მონაცემებით (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე), წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 13 პროცენტით მოიმატა. აქედან, კერძოდ, ექსპორტმა 2 მილიარდ 179 მილიონი დოლარი, ხოლო იმპორტმა 7 მილიარდ 173 მილიონი დოლარი შეადგინა. ამდენად, ქვეყნის უარყოფითმა საგარეო სავაჭრო ბალანსმა 4 მილიარდ 996 მილიონი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, სასაქონლო ჯგუფებში კვლავაც მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტი პირველობს, რომელზეც მთელი ექსპორტის მეოთხედი მოდის. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობთა ექსპორტი, ლიდერთა სამეულის „ჩამკეტი“ კი ისევ აზოტოვანი სასუქების ჯგუფია.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ მოსალოდნელი კატასტროფა

# შავი ზღვა შეიძლება აფეთქდეს!

**რამდენიმე დღის წინათ, შავ ზღვაში საქართველოს სანაპირო ზოლიდან 29-46 კმ ფარგლებში მიწისძვრის რამოდენიმე ეპიცენტრი დაფიქსირდა — 5,0-დან 5,9-მდე მაგნიტუდის სიმძლავრისა. მოსახლეობაში იყო ზარალი, რამაც პანიკაც გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ ჯავახიშვილი აცხადებს, რომ საზოგადოებაში პანიკის საფუძველი არ უნდა იყოს, რადგანაც მიწისძვრებისაგან გამოწვეული რყევები განუხრელად კლებულობდა და საბოლოოდ შეჩერდა. მეცნიერის განმარტებით, შავი ზღვის ზოლზე ახალი, დამატებითი აპარატურაა დამონტაჟებული, რაც მომავალში პროცესების უკეთ გამოკვლევის შესაძლებლობას ქმნის. თუმცა, იგი ვერ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ამ ახალი აპარატურით მოხდეს სამომავლო მიწისძვრის სიმძლავრეების წინასწარ დადგენა.**

ინსტიტუტის დირექტორის განმარტებით, ბოლო წლებში კავკასიის რეგიონი სეისმურად აქტიური გახდა, გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენში მომხდარი მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე ყოველწლიურად იცვლება. გასულ წელს შავი ზღვის მსგავსი სიძლიერის მიწისძვრა აზერბაიჯანის საზღვართან მოხდა. ცოტა ადრე უფრო ძლიერი ბიძგები იყო რაჭაში. ასე რომ, ასკვნის პროფესორი, პროცესები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობს და ერთმანეთისაგან ყოველთვის განსხვავებულია.

### ტორფი – სიმდიდრე თუ საშიშროება?

**შავ ზღვაში მომხდარმა მძლავრმა მიწისქვეშა ბიძგებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ქართველ ოკეანოლოგებში. მათი განმარტებით, წლების მანძილზე შავი ზღვისადმი მხოლოდ მომხმარებლურმა მიდგომამ შავი ზღვის ფლორა და ფაუნა დიდი საშიშროების წინაშე დააყენა, საფრთხე ემუქრება თავად შავი ზღვის არსებობასაც.**

ოკეანოლოგ პაატა ბარამიას განმარტებით, არც კომუნისტების ზეობის ბოლო ათწლეულებში, არც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქვეყნის არც ერთ ხელისუფლებას არ უზრუნია მეცნიერულ დონეზე გაკეთებული დასკვნების გადახედვაზე, არადა, ათწლეულების მანძილზე ზღვაში ჩაღვრილმა ნავთობმა, სხვადასხვა სამრეწველო ნარჩენებმა, დანაგვიანებამ და ა.შ. შავ ზღვის ფსკერზე გამოიწვია ტორფის სქელი ფენის გაჩენა, იმის გამო, რომ ზღვის ფსკერი არ იწმინდება, ტორფის შრე მატულობს, ეს საფრთხეს უქმნის ზღვის მცენარეულობასა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს. ტორფის ფენის მატებასთან ერთად მცირდება ზღვის წყლის სასიცოცხლო მასა. მკვეთრად იკლო მისმა რაოდენობამ. ამასთანავე, ზღვა თანდათან კარგავს მის უნიკალურ სამკურნალო თვისებებსაც.

ბარამიას გადმოცემით, ოკეანოლოგებმა ოთხჯერ მიმართეს (9 წლის განმავლობაში) წინა ხელისუფლებას შავი ზღვის გადარჩენისათვის დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით კონფერენციის ჩატარების ან ჩატარების ინიციატივის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. მეცნიერის თქმით, ტორფი ძვირადღირებული საწვავი მასალაა. ზღვის ფსკერის გაწმენდის გარდა, ტორფის ამოღება და მისი სათანადოდ გადამუშავება წაადგებოდა როგორც მოსახლეობას, ასევე საწარმოო დარგებსაც.

ოკეანოლოგი იმასაც აღნიშნავს, რომ ტორფი სიმდიდრის გარდა, დიდ საშიშროებასაც წარმოადგენს. ამიერკავკასია სეისმურად არამდგრადი რეგიონია. ამის ნათელი მაგალითია ბოლოდროინდელი გახშირებული მიწისძვრები. მიწისქვეშა ბიძგები, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა შავ ზღვაში. ბოლო დროს იქ უკვე რამოდენიმე ეპიცენტრი დაფიქსირდა, რომელთა მაგნიტუდა 5,0 და 6,0 მაგნიტუდას შორის მერყეობს. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ზღვის ფსკერზეც არსებობენ ვულკანები. სწორედ ასეთი ამოფრქვევის შედეგად ადვილი შესაძლებელია მოხდეს აფეთქება. ტორფი ადვილად აალებადია და ცეცხლი უცბადვე წაეკიდება. ამან კი საქართველოს შავი ზღვის ზოლის რეგიონებს, შესაძლოა, კატასტროფა მოუტანოს. მთელ შავ ზღვას მოედება ცეცხლი, რომლის ჩაქრობა წარმოუდგენელი იქნება, უდიდესი საშიშროების წინაშე დადგება მთლიანად დასავლეთ საქართველო.

როდესაც ოკეანოლოგებმა ამ საფრთხეებისა და საშიშროებების შესახებ მიმართეს „ნაციონალების“ ხელისუფლებას, მოთხოვნის ერთ-ერთ პუნქტში უნივერსიტეტში არსებული ოკეანოლოგიის ფაკულტეტისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების აუცილებლობის შესახებაც იყო ლაპარაკი, რაზეც იმჟამინდელ განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინს უთქვამს — საერთოდ, რაში გვჭირდება ოკეანოლოგია. ოკეანე ჩვენ არა გვაქვს და არც ფული, ოკეანეში ამათი გასაგზავნი, ავიღოთ და საერთოდ დავხუროთ ეს ფაკულტეტიო. სპეციალისტები იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი ხელისუფლება შაშკინის სისულელეებს არ გაიმეორებს და უფრო გულდასმით, სახელმწიფოებრივად მიუდგება ამ საკითხს.

### იგივეს იმეორებენ პოლიტიკოსების

**თუ ოკეანოლოგები შავი ზღვის, აქედან გამომდინარე, მთელი ქვეყნის წინაშე მდგარ საშიშროებებზე გამოთქვამენ შეშფოთებას და ამბობენ, რომ შავ ზღვაზე ყოველგვარი ენერგორესურსების არათუ მოპოვების, არამედ დაძებნითი სამუშოების ჩატარებაც კი დაუშვებელია ფსკერის სათანადოდ გაწმენდამდე, პოლიტიკოსები ამ პრობლემას სხვა ჭრილში განიხილავენ.**

პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ამბობს, რომ ბოლო პერიოდის ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა რუსულ „როსნეფტსა“ და ამერიკულ „ექსნომობილს“ შორის შეთანხმება შავი ზღვის ენერგეტიკული მარაგების ათვისების თაობაზე. ადრე, „როსნეფტს“ მსგავსი შეთანხმება გაფორმებული აქვს იტალიურ კომპანია „ენისთანაც“. საუბარია მილიარდობით კუბურ მეტრ გაზსა და ნავთობზე. ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება. ექსპერტმა მხოლოდ რამოდენიმე ინფორმაცია მოიპოვა, რომელთა მიხედვითაც საუბარია არა მხოლოდ რუსეთის, არამედ საქართველოს, აფხაზეთისა და უკრაინის წყლებში არსებულ მარაგებზე. ლაგაზიძე სვამს კითხვას სააკაშვილის ხელისუფლების მისამართით, მაშინ, როდესაც კასპიის ზღვის ენერგორესურსების განაწილების შესახებ დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმება მიმდებარე ქვეყნებს შორის, რატომ არ იღებდა ხმას წინა ხელისუფლება შავი ზღვის შელფის თაობაზე (იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაზეც), აშშ-რუსეთ-ევროპას შორის მიმდინარე აქტიურ მოლაპარაკებებზე. იმ ინფორმაციებში, რაზეც ლაგაზიძეს ხელი მიუწვდება, საუბარი არ არის საქართველოს (მათ შორის უკრაინისაც, ინტერესებზე და მის მონაწილეობაზე, მაშინ, როდესაც ჩვენს შელფში უნდა ჩატარდეს მოძიება-ათვისება. შეიძლება ეს უშუალოდ „ნაციონალური“ ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან ხელშეკრულებებშია დარეგულირებული. ისინი კი საზოგადოებისათვის უცნობია.

პოლიტიკურ ექსპერტს აქვს ინფორმაცია, რომ „როსნეფტს“ უკვე 2010 წლიდან აქვს დაწყებული აფხაზეთის შელფის ათვისება. თუ იქ მართლა ასეულობით მილიარდი კუბური მეტრი გაზი აღმოჩნდა, ვინ მიართმევს ხონჩით მას საქართველოს? ომები აღმოსავლეთში ხომ სწორედ ენერგეტიკული მარაგების გამო მიმდინარეობს, — ასკვნის ლაგიზიძე.

როდესაც ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესებს შეეხო, არგენტინის მთავრობამ უმსხვილესი ნავთობკომპანიის ექსპროპრიაცია და ნაციონალიზაცია მოახდინა, უნგრეთი საერთოდ გამოვიდა ევროატლანტიკური გაზსადენის „ნაქუბოს“ პროექტიდან და ა.შ.

ამიტომ, ვიდრე პოლიტიკურ თემებს გადაწყვეტენ, ოკეანოლოგ პაატა ბარამიას გადაუდებელ საკითხად მიაჩნია თუნდაც საქართველოს დე ფაქტო შავი ზღვის გადასარჩენად ზრუნვა. არ დაუშვას იქ არავითარი არა თუ მოპოვებითი, არამედ დაზვერვითი სამუშაოები ფსკერის ნორმალურ კონდიციამდე მიყვანამდე. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აფხაზური მხარისა და იქ დასაქმებული კომპანიის ყველა დონეზე უმკაცრესი გაფრთხილებაა საჭირო, რათა მათ აიცილონ კატასტროფა.

პოლიტიკური ექსპერტების აზრით, საქართველოს მოსახლეობა ისევ გასული საუკუნის 80-იანი წლების კლიშეებით ცხოვრობს და აშშ-რუსეთის დაპირისპირებას ყველა სფეროში რეალურად აღიქვამს. არავის აინტერესებს საქართველოს ინტერესები, ტორფი და ა.შ. ამის გამო ჩვენმა მოსახლეობამ, ისე როგორც გასული წლის 1 ოქტომბერს, ინიციატივა თავის თავზე უნდა აიღოს და მის არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად გააკეთოს ის და ისე, რაც და როგორც მისი ქვეყნისა და მოქალაქეების ინტერესებს შეესაბამება, — ასკვნიან სპეციალისტები.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ:

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნაპოლეონ მესხიას წიგნში „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ მოცემულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების მოღვაწეობის ამსახველი დამახინჯებული, ცილისმწამებლური ფაქტები, ცალკეული დეპუტატების, სახელმწიფო მოხელეების, საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ღირსების შემლახველი მოსაზრებები. აფხაზეთში 1992-93 წლებში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ასეულობით წიგნი, ბროშურა, საგაზეთო სტატია, პუბლიკაციაა გამოცემული, გასაჯაროებულია აუდიო და ვიდეო მასალები, გამოქვეყნებულია საერთაშორისო დონის კომპეტენტური ორგანოების, უმაღლესი რანგის სამიტებისა და კონფერენციების, ლიდერი ქვეყნების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგებისა და ექსპერტების ოფიციალური დასკვნები და მოსაზრებები, რომელთა მიზანი იყო და არის აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გენეზისის, ომის დაწყების წინაპირობების, მისი ინსპირატორების, საომარი მოქმედებების პერიოდში ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების, ძირძველი ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმის — ეთნიკური წმენდის მოწყობის შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა და მსოფლიო საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამ ფონზე სრულიად გაუგებარი, მიუღებელი და, რაც მთავარია, საზიანოა ბატონ ნაპოლეონ მესხიას ავტორობით ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (Как отторгалась Абхазия). ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას ნაშრომის უმთავრესი ვექტორი მიმართულია აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის და ეროვნული ერთიანობის საბჭოს ქართულ-აფხაზური ინტერესების ღალატის ტოლფას ქმედებებში დადანაშაულებისკენ, რაც იმთავითვე ობიექტური რეალიების ცილისმწამებლური შეფასებების ავტორისათვის სასურველ კონტექსტში წარმოჩენის მცდელობითაა გაჯერებული.

იმის გათვალისწინებით რომ, ბატონი ნაპოლეონ მესხია დღიდან დეპუტატად არჩევისა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის და დევნილობის პერიოდში ინარჩუნებდა კოლეგიალურ ურთიერთობებს უმაღლესი საბჭოს უმრავლესობასთან, მით უფრო გაკვირვებას იწვევს ავტორის უპასუხისმგებლო სიცრუეზე აგებული ეპიზოდებით აპელირება, რომლებიც თითქოსდა ახასიათებს აფხაზეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში აფხაზეთის დეპუტაციის წევრების დანაშაულებრივ მონაწილეობას (ცალკეული დეპუტატების მიერ ომის ინიცირებაში ბრალდებები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში უმაღლესი საბჭოს მოღალატეობრივი ინსინუაციების ფაქტები და სხვ.), საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული მაგალითები თუ ისტორიული ფაქტები, რომლებითაც ბატონი ნაპოლეონ მესხია სარგებლობს, სრულიად შეგნებულად აყვანილია ტიპური განზოგადების რანგში, ვინაიდან მიზნად აქვს დასახული აფხაზეთის ტრაგედიაში ერთმნიშვნელოვნად დამნაშავედ ქართული მხარის გამოყვანა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ავტორისეულ ინტერპრეტაციას, ის აღსავსეა ისეთი სახის აბსურდებით, როგორიც თვით აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებს, სეპარატისტთა იდეოლოგებსაც კი არ მოსვლიათ თავში. წიგნში აშკარად გამოკვეთილი აზრი, რომ თურმე არ ყოფილა დიალოგი აფხაზებსა და ქართველებს შორის იმ მიზეზების გამო, რომ ამგვარი ნება და სურვილი ქართულ მხარეს არ ჰქონია, სრული სიცრუეა.

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ხელს უწყობს არა „მწარე სიმართლის“ გამჟღავნებას, როგორც ამაში მკითხველის დარწმუნებას ცდილობს მისი ავტორი, არამედ პირიქით, ისტორიული ფაქტების გაყალბებით, მისი ფანტაზიით შეთითხნილ არარსებულ ეპიზოდებში ზოგიერთი ქართველი დეპუტატის ვითომდა მონაწილეობით ხელს უწყობს სინამდვილის კიდევ უფრო გამრუდებას და ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში მის წარმოჩენას. აღნიშნულ წიგნში ავტორი ასევე დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით და სრულიად უაპელაციო, ცილისმწამებლური, ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკური შეფასებებით, მთელი რიგი პოლიტიკური და მეცნიერული საკითხების განხილვისას ხშირად ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას, დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და მიამიტობას. წიგნის ავტორის ბატონ ნ. მესხიას აშკარად გამოკვეთილ მტრულ განწყობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიმართ, მის დაუნდობელ და შეუწყნარებელ რიტორიკაში აშკარად იკვეთება რამდენიმე მთავარი მიზეზის კვალი. პირველი, ეს არის — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას კანდიდატურის უარყოფა მთელი აფხაზური დეპუტაციის მიერ, რასაც ის დღემდე აბრალებს ქართველ დეპუტატებს, მეორე — 2009 წელს მისი კანდიდატურის ჩავარდნა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად.

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ახდენს მისი ავტორის, — კოლაბორაციონალისტური, ბოღმიანი, პოლიტიკისაგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებული და ჩასაფრებული ადამიანის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ლუსტრირებას, რასაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ავტორისეული აღმაშფოთებელი მცდელობა, ერთ სიბრტყეზე განათავსოს გერმანელი ფაშისტების მიერ ებრაელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედებები და ქართველთა „დანაშაული“ აფხაზეთში, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ღალატი.

გამომდინარე აქედან,

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

**1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთლიანად გმობს რა ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ სულისკვეთებას, ავტორისეულ დასკვნებსა და შეფასებებს, როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას, რომელიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით, ცალკეულ სახელმწიფო მოხელეებსა და საზოგადოების წარმომადგენლების სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალდებებით ხელს უწყობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სიმართლის გამრუდებას, მის ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში წარმოჩენას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღალატის ტოლფასი ქმედება.**

**2. ნაპოლეონ მესხიასაგან მოითხოვს საჯარო ბოდიშის მოხდას მის წიგნში „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ დეპუტატების, სხვა თანამდებობის პირების და საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური ბრალდებების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უფლებას იტოვებენ სასამართლო წესით აღიდგინონ შელახული ღირსება.**

**3. დადგენილებას დაერთოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინფორმაცია ნ.მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ.**

**4. ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ დადგენილების შესახებ მოხსენდეთ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უახლოეს სესიაზე.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
**ელგუჯა გვაზავა.**

ქ.თბილისი 29.09.2012წ. № 06 (14) 13

# ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ

ჩვენი კოლეგის — ნაპო მესხიას მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (как отторгалась абхазия) კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გატყდეს ციხე შიგნიდან — როგორ უნდა დაუპირისპირდე საკუთარ ხალხს და საკუთარ სახელმწიფოს დედაისტორიის, ისტორიული ფაქტების გაყალბების გზით, რასაც ორ ასეულზე მეტი წლის მანძილზე პერმანენტულად ეწევა გარეშე მტერი, მაგრამ ღალატის ტოლფასია შინაურის მიერ განხორციელებული მსგავსი ქმედება.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამოვიკითხოთ ის ძირითადი მოტივი, რამაც უკარნახა ჩვენს კოლეგას დაეწერა წიგნი „სიმართლეზე და სამართლიანობაზე“, რომელსაც რედაქტორის წინათქმაში ვინმე იური პაპასკუა სამკურნალო თვისებებსაც კი მიაწერს. ნუ იტყვით და, თურმე ჩვენს განკურნებას ითვალისწინებს იმის აღიარება, რომ საქართველო მცირე იმპერიას წარმოადგენს (აქ უპრიანია გავიხსენოთ ის ვნებათაღელვა, რაც ანდრეი სახაროვის ამ მოსაზრებას მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში) და ნაპო მესხია როგორც მკურნალი, სამკურნალო პრეპარატის ანოტაციას ამ სახით გვთავაზობს: **„...ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები, მათ შორის ქართველებიც, მაგრამ გვავიწყდება, თუ მხედველობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა, მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა. მათი დანახვა შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ყურადღებითა და გულისყურით ჩავხედავთ სიმართლეს თვალებში!“**

აი, ამგვარად გვმოძღვრავს მკურნალი ნაპო მესხია (და სხვაგვარად ვერც მოიქცევა, ვინაიდან ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულება კარნახობს ამას). ხოლო რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნაპო მესხიასეულ ინტერპრეტაციას, ის აღსავსეა ისეთი სახის აბსურდებით, როგორიც თვით აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებსაც კი არ შემოუთავაზებიათ. მაგალითისათვის უნდა მოვიტანოთ ამონაწერი 23-ე გვერდიდან: **„...ნამდვილად იბადება შეკითხვა: როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართლი“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე-15 საუკუნის შუაგულში“**. გარდა იმისა, რომ მოტანილი ციტატა სრული სიყალბეა, აქ ადვილად ამოიკითხება ის ირონია, რომლის დამალვასაც ავტორი არც ფიქრობს. უფრო ადრე ავტორი აპელირებს იმ კონსტიტუციით, რომელზედაც საუბრობს მე-15 გვერდზე: **„...კარგად არის ცნობილი თუ რა სტატუსით სარგებლობდა იგი 1925 წლის კონსტიტუციით და როგორ ჩამოქვეითდა საკუთარ უფლებებში 1931 წლის კონსტიტუციის მიხედვით...“.** აქ საუბარია იმ 1925 წლის კონსტიტუციაზე, რომელიც მეცნიერ-ისტორიკოსების მტკიცებით მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითები თუ ისტორიული ფაქტები, რომლითაც ნაპო მესხია სარგებლობს, აყვანილია ტიპური განზოგადების რანგში და ის ამას სრულიად შეგნებულად აკეთებს, ვინაიდან მიზნად აქვს დასახული თუ დავალებული აფხაზეთის ტრაგედიაში უეჭველ დამნაშავედ ქართული მხარე გამოიყვანოს. შიგადაშიგ აფხაზ სეპარატისტებსაც გამოჰკრავს ხოლმე „სარმას“, მაგრამ ამას ჩვენი დანაშაულის უპირობო აღიარების კონტექსტში აკეთებს და ამის მაგალითებია უნივერსიტეტის გაყოფა და იქ მოწყობისათვის აუცილებელი „სტავკების“ გაორმაგება, ქართული ეროვნული მოძრაობისა და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი ეპითეტებით შემკობა და სხვა. ამგვარ დახასიათებებს ნაპო მესხია სეპარატისტებისათვის ნაცადი მეთოდით წარმოგვიდგენს ყველაფერ იმას, რაც სოციალისტური აბსურდისათვის იყო დამახასიათებელი, მიაწერს ქართველ ხალხს იმ ცალმხრივი მინიშნებით, რომ უბედურების სათავე მათშია და პერმანენტულად ეწევა ამგვარი დასკვნების ტირაჟირებას. მაგალითად, 25-ე გვერდზე ასკვნის: **„...ამიტომ მთავარ მიზეზს უნდა ვეძებდეთ საკუთარ ეროვნულ ხასიათსა და მენტალიტეტში. ჩვენ დაკავებული აღმოვჩნდით საკუთარი პრობლემებით და არ გავუწიეთ ანგარიში საქართველოში მცხოვ-**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**რები ეროვნული უმცირესობების პრობლემებსა და განწყობებს... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთხელაც არ გვიცდია ამის გაკეთება, ჩვენ სრულად უგულებელვყავით ჩვენი ოპონენტების ინტერესები, დავიკავეთ რა განაწყენებულის, სირაქლემის პოზა...“** და ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლადაა შესაძლებელი.

ნაპო მესხია ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა ეძლევა, დაჟინებით იმეორებს, რომ არ ყოფილა დიალოგი აფხაზებსა და ქართველებს შორის იმ მიზეზის გამო, რომ ამგვარი ნება და შესაბამისი სურვილი ქართულ მხარეს არ გააჩნდაო, რაც სრული სიცრუეა. აქაც ქართველთა ცალმხრივად დადანაშაულებას ცდილობს ნ.მესხია. დიალოგი ნამდვილად რომ მიმდინარეობდა, ადასტურებს მრავალი მისი მონაწილე საგაზეთო თუ სხვა სახის პუბლიკაციებში, რაც საგანგებოდ გამორჩა ავტორს. ამ დიალოგის მონაწილეები ჩვენი კოლეგებიც გახლდნენ და მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად დაძაბულ ფონზე მიმდინარეობდა, ამოწეული იყო და განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც პრობლემური იყო აფხაზური ეთნიკური საზოგადოებისათვის: აფხაზური ეროვნული სკოლა და მისი განვითარება, აფხაზური ენა და მისი სახელმწიფო სტატუსის ამაღლების გზები, დემოგრაფიული სიტუაცია და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები და ა.შ. ის, რომ დიალოგი შედარებით გვიან პერიოდში დაიწყო, ქართულ მხარეს კი არ უნდა დაბრალდეს, არამედ იმ სოციალისტურ სინამდვილეს, სადაც ამ სახის დიალოგი სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენდა. განა შეიძლება მავანსა და მავანს ეწარმოებინა დიალოგი ეთნიკურ პრობლემებზე იმ გარემოში, სადაც ერთაშორისი ურთიერთობები ვეტოდადებულ თემას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ქართველთა დადანაშაულება იმაში, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმართვას, აშკარად ყურით მოთრეული და წინასწარ გამიზნულია, ან როგორ ფიქრობს ავტორი, შეიძლებოდა კი თუნდაც ეფექტურად წარმართული ქართულ-აფხაზური დიალოგით თავიდან აგვეცილებინა კრემლის ავანტიურა, არსებითად შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ.

იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ ავტორი სწორედ ამ ავანტიურისტებს, აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებს აფარებს ხელს, ხოლო დამნაშავედ გამოყავს მსხვერპლი — ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო და ამას მზაკვრული ხერხებით ახორციელებს, თითქოს სოხუმში მოქმედი ეროვნული ერთიანობის საბჭო წარმოადგენდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს უფლებამოსილ სუბიექტს. აფასებს რა ეროვნული ერთიანობის საბჭოს საქმიანობას, ნ.მესხია პირდაპირ მიუთითებს, რომ სწორედ ეროვნული ერთიანობის საბჭოს უდევს ლომის წილი აფხაზეთის ტრაგედიაში. თუ სად არიან ამ ტრაგედიის ჭეშმარიტი შემოქმედნი, ავტორი ამას არ კითხულობს, არც აინტერესებს, ვინაიდან მისი მიზანი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართული მხარის, საქართველოს დადანაშაულებაა.

არანაკლებ მზაკვრულია ნ.მესხიას აპელირება სიმართლით და მას ხაზს იმ მიზნით უსვამს, რომ კიდევ ერთხელ დაადანაშაულოს ქართული მხარე აფხაზეთის კოლაფსის მოწყობაში, აქაოდა სიმართლეა და სად და როგორ უნდა გაექცე მასო? აი, მისი გამონათქვამებიც: **„...ეს არის მწარე სიმართლე, მაგრამ სიმართლე. ფაქტია, რომ პრობლემების მშვიდობიანი დარეგულირება არ აწყობდა არავის“** (გვ.28); **„...ადამიანებმა უნდა იცოდნენ სიმართლე! იგი უნდა ითქვას ბოლომდე და შეუფერადებლად. გამოსავალი მხოლოდ ამაშია და ჩემი მოქალაქეობრივი ვალი სწორედ ამაშია“** (გვ.44); **„...ამიტომაც გადავწყვიტე სიმართლით წარვსდგე მათ წინაშე და ჩავხედო მათ თვალებში“** (გვ.45). საყოველთაოდაა დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ სიმართლე ყოველთვის და ყველა ვითარებაში არ შეიძლება გამოითქვას, სიმართლის თქმას შესაბამისი დრო და გარემო სჭირდება. ათეულობით მაგალითი არსებობს აფხაზთა მხრიდან ქართველთა აუგად მოხსენიებისა, პირდაპირი შეურაცხმყოფელი განცხადებებისა ქართველთა და ყოველგვარი ქართულის მიმართ, გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ ქართველებთან თანაცხოვრება დაუშვებელია და შეუძლებელია, ქართველთა გაუპატიურებისა, სადისტური აღვირახსნილობისა თუ სხვა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, მაგრამ არც ერთ აფხაზ ავტორს, არც ერთ პუბლიცისტურ თუ სხვა სახის ნაწერში, არც ერთ მათ მიერ ფალსიფიცირებულ „ოპუსში“ ამგვარი სახის სიმართლის შემცველი ფაქტი არ მოუყვანია, ვინაიდან იცის, სად და რა ვითარებაში თქვას სიმართლე, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არ იცის ჩვენმა კოლეგამ, ან იცის და სწორედ ამიტომაც იქექება იმ სიბინძურეში, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის სამყოფელში.

ზემოთაც იყო აღნიშნული და ახლაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ნ.მესხიას წიგნი არა სიმართლისადმი ერთგულების, არამედ წინასწარ განზრახულობით არის შექმნილი. სწორედ წინასწარ განზრახულობით და ავი წინასწარგანზრახულობით დაიწერა მე-3 თავი **„აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მისი ქართული ფრაქცია და ე.წ ეროვნული ერთიანობის საბჭო. მათი როლი და ადგილი აფხაზეთის ტრაგედიაში“**. იგი ამ თავს უპრეცედენტო ბრალდებით იწყებს: **„...საზოგადოებაში ფართოდ არის დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ომის გაჩაღებაში დიდი როლი ეკუთვნის აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართულ ფრაქციას. მას ბრალს სდებენ ღალატის ტოლფას ქმედებაში. ამბობენ, რომ ვერ დაინაწილეს თანამდებობები, ამიტომ ვერ წარიმართა მწყობრი საპარლამენტო საქმიანობა. მათი ქმედებებით თუ უმოქმედობით კიდევ უფრო გაღრმავდა პოლიტიკური დაპირისპირებულობა, რომელსაც აფხაზეთში მოჰყვა დაძაბულობის გაძლიერება და საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის გაძლიერება...“** და არ მხოლოდ ზემოთ მითითებულ თავს, არამედ მთელ წიგნს ამ ბრალდების დასაბუთებას უძღვნის. მე-4 თავში ქართულ ფრაქციას წარმოუდგენელ დანაშაულობებს მიაწერს: **„... იმაში, რომ არ შედგა დიალოგი და არ შეიქმნა საქმიანი კონტაქტები და ურთიერთთანამშრომლობა, უფრო მეტად დამნაშავეა ჩვენი, ქართული მხარე. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენ გავრბოდით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სესიების სხდომებიდან, რითაც ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტს ვუთმობდით ბურთსაც და მოედანსაც! ეს ჩვენ დავთმეთ პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობის მექანიზმები, 2/3 ხმის დაცვის მექანიზმები, რაც წარმოადგენდა უდიდეს დანაშაულს, საბედისწერო შეცდომას, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ აფხაზურ მხარესთან დიალოგის მწვავე დეფიციტმა და ჩვენმა დაუსრულებელმა გაქცევებმა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სესიის სხდომებიდან მისცა საშუალება აფხაზურ დეპუტაციას ყოველგვარი სირთულის გარეშე მიეღო ისეთი კონსტიტუციური შესწორებები, როგორიცაა აფხაზეთის სახელდება და სიმბოლიკა. სწორედ ამის შემდეგ შეაჩერეს მათ მოქმედი 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ჩვენი, ქართველი დეპუტატების დასწრების შემთხვევაში, დაცვის არსებული კონსტიტუციური მექანიზმის პირობებში, ეს ვერ განხორციელდებოდა. ამის გაკეთებას ისინი ვერ შესძლებდნენ!“** დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნ.მესხიას აქ მოტანილი სიტყვებისა არ სჯერა, მაგრამ რა უყოს, წინასწარ ჩამოყალიბებულ მიზანს — ჩირქი მოსცხოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართულ შემადგენლობას, რათა აჰკიდოს დანაშაულებათა მძიმე ტვირთი და შეუმჩნეველი გახადოს ჭეშმარიტი დამნაშავე.



ვფიქრობთ ზემოთ მოტანილ ციტატას მცირე კომენტარი დასჭირდება უსათუოდ, ვინაიდან მასში არსებულ ფაქტობრივ უზუსტობებსა და შეფასებებს ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ. ნ.მესხიას მტკიცებით, აფხაზეთში ომის გაჩაღებაში თურმე ლომის, წილი დეპუტატთა ქართულ ფრაქციას უდევს, ხოლო ბლოკ „სოიუზში“ გაერთიანებული ანტიქართული ორგანიზაციები, თურმე მუხლებზე ჩოქვით გვემუდარებოდნენ, ღვთის გულისათვის, ნუ დაიწყებთ ომს, ნუ დაგვღუპავთ ჩვენ და ნურც თავს დაიღუპავთო, კრემლში მოკალათებული რუსი ნეოიმპერიალისტები კი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ ჩვენი დაშოშმინებისათვის. რაც შეეხება ფაქტს ქართული დეპუტაციის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიების დატოვების შესახებ, რასაც ავტორი დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს იქედან გამომდინარე, რომ ამ ქმედებით ჩვენ თითქოს დავთმეთ პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობის მექანიზმები და ხელი შევუწყვეთ მიღებული ყოფილიყო ისეთი კონსტიტუციური შესწორებები, რომელთა საფუძველზე აფხაზეთი სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცხადდებოდა ნ. მესხიამ ან არ იცის, ან არ სურს იცოდეს, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით მანიპულირების შესაძლებლობა უმაღლესი საბჭოს არც ქართულ და არც არაქართულ სეგმენტს არ გააჩნდა, ვინაიდან ამგვარი ბალანსი იმ საარჩევნო კანონში იყო ჩადებული, რომელიც მიიღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის სესიამ და რომლის საფუძველზე არჩეული იქნა ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო საზოგადოებისათვის ცნობილი ნაციონალური კვოტური წარმომადგენლობითი სისტემით.

რაც შეეხება დეპუტატთა ქართული ნაწილის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ისინი მიღებული იქნა კანონისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა აშკარა და უტიფარი იგნორირებით უბრალო უმრავლესობის მიერ, რასაც ისინი ასეთივე წარმატებით განახორციელებდნენ დეპუტატთა ქართული ფრაქციის სესიის სხდომებზე დასწრების შემთხვევაშიაც და სეპარატისტთა მოწოდება დავბრუნებოდით პლენარულ სხდომებს, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების ფორმალური თანამონაწილენი გავმხდარიყავით ჩვენც — ქართული დეპუტაცია. ჩვენდა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მზაკვრული ჩანაფიქრი სწორედ სესიის სხდომების დატოვების გადაწყვეტილებით აღვკვეთეთ და განა შეიძლება აღნიშნულ გადაწყვეტილებას უდიდესი დანაშაული, საბედისწერო შეცდომა თუ სამშობლოს ღალატი ეწოდოს? ისტორიაში შესვლის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილ ავტორს ვურჩევდით ეხელმძღვანელა არა საკუთარი „ნააზრევით“, არამედ პროფესიონალი ისტორიკოსების მიერ წარმოდგენილი მასალებით, რომელთა ნაწილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა.

ნ. მესხია არ იშურებს შეურაცხმყოფელ ეპითეტებს ქართული დეპუტაციის მიმართ: **„...რაკიღა ვახსენეთ ქართული დეპუტაცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას მის ძალიან სუსტ შემადგენლობაზე. მხედველობაში ვიღებ არა მხოლოდ რაოდენობრივ მომენტს, არამედ მათი მოღვაწეობის ხარისხობრივ-ზნეობრივ მხარეებს — მათ განსხვავებულობას, შეუთანხმებლობას, განცალკევებულობას, მიამიტობას და ბოლოს უგუნურობას! იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს შემთხვევითი ხალხი, ასევე, შემთხვევით შეიკრიბნენ ერთად — მოხვდნენ, როგორც იტყვიან, ხომალდიდან მეჯლისზე და ერთეულების გამოკლებით არ იციან როგორ მოიქცნენ. ქართველ დეპუტატთა დიდი ნაწილი პასიურად იჯდა, რომელიც ერთხელაც არ გამოსულა და არ დაუფიქსირებია საკუთარი აზრი ამა თუ იმ აქტუალური საკითხის მიმართ. და არა მხოლოდ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომებზე, არამედ სადეპუტატო ფრაქციის სხდომებზეც კი ისინი არ ჩანდნენ: ისინი ისხდნენ „ბალახზე დაბლა და წყალზე ჩუმად“ გაურკვეველი იყო თუ რისთვის მოვიდნენ ისინი პარლამენტში?!“** მაშინ, როდესაც ნ.მესხია უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართული დეპუტაციის მიმართ, თავად ჩადის ენითაუწერელ უზნეობას, აქცენტების აღრევით, სრულიად უსაფუძვლოდ განაქიქებს საკუთარ კოლეგებს, რაც ოჯახიდან გასული მისი უმადური წევრის ყოვლად საძრახის საქციელს გვაგონებს. მოდით, საზოგადოდ ვიკითხოთ — ახსოვს ვინმეს, ჩვენს კოლეგას თუ საზოგადოების რომელიმე წევრს, ნაპო მესხიას აქტიურობა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე? წარმოდგენილი დახასიათებისდა საპირისპიროდ ავტორი თაფლში ამოვლებულ სიტყვებს უშურველად იმეტებს აფხაზი კოლეგების განსადიდებლად და თუ კი ქართული დეპუტაცია, მცირედი გამონაკლისის გარდა, ერთიანად ექსტრემისტები, რევანშისტები, აგრესორები და ბრიყვები ვიყავით, სრულიად საპირისპიროდ წარმოგვიდგენს აფხაზ კოლეგებს. მაშინ, როდესაც ქართული დეპუტაციის წარმომადგენლობას თავზე ლაფს ასხამს, უმაღლესი საბჭოს აფხაზურ შემადგენლობას მოწიწებით, პატივისცემით, ამაღლებული ტონით მოიხსენიებს და მათ გამორჩენილ აფხაზ დეპუტატებს უწოდებს, რომლებიც თურმე ნუ იტყვით და ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ ჩვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს, აი მაგალითიც: **„...იმის ნათელი მაგალითი, რომ აფხაზური მხარე მზად იყო და რიგ შემთხვევებში მიდიოდა გონივრულ დათმობებზე, არის მის მიერ გამოხატული თანხმობა მთავრობის სახლთან, ცენტრალურ მოედანზე ჩატარებულიყო წინასწარცნობილი ანტიაფხაზური მიტინგი...“** ოღონდ შეაქო, მოწიწება გამოხატო, ქედი მოიდრიკო აფხაზური მხარის წინაშე და რას არ შეთხზავ და მიკიბ-მოკიბავ ადამიანი. ეტყობა საქმეს სჭირდება, იმ საქმეს, რომელსაც ჩვენნაირი დაუნახავი ვერასოდეს შეამჩნევს, თორემ რისთვის დასჭირდებოდა ავტორს ფანტასტიკის სფეროში შეჭრა? ერთი ისიც ვიკითხოთ, ჩატარებულა კი ოდესმე აფხაზეთში (თუნდაც მის ფარგლებს გარეთ) ანტიაფხაზური მიტინგი? ანტიბოლშევიკური, ანტიკომუნისტური და ანტიიმპერიალისტური — კი ბატონო, მაგრამ ანტიაფხაზურს ვერ გავიხსენებთ, თუმცა, როგორ გაიხსენებ, როცა ასეთი რამ ცხადში არ ყოფილა.

თუკი ნაპო მესხია კრემლის მიერ ინსპირირებული ავანტიურის წინააღმდეგ გამართულ მიტინგებს ანტიაფხაზურად ნათლავს, ისევე, როგორც რეაქციონერი სეპარატისტები, აქ საქმე სხვა სახის პრობლემასთან გვაქვს. საინტერესოა კიდევ ერთი ამონარიდის მოტანა, ოღონდ კომენტარის გარეშე, ვინაიდან ის ამას არ საჭიროებს, აქ ყველაფერი ცხადი და ნათელია: **„...აფხაზური მხარე ომის დროსაც არაერთხელ გამოხატავდა მზადყოფნას ეწარმოებინა კონსტრუქციული დიალოგი. იგი ეძებდა კრიზისიდან გამომავალ გზებს და მიდიოდა დათმობებზე...“** კომენტარს არა, მაგრამ წარმოდგენილ ციტატას რეპლიკის გარეშე დატოვება ნამდვილად არ ეგების — გუშინდელივით გვახსოვს და დღესაც ყურში ჩაგვესმის არძინბას მიერ უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან წამოსროლილი სიტყვები — **ჩვენ მაინც გაიძულებთ ქართველებს პირველებმა გვესროლოთ, ჩვენ, აფხაზებს.**

იხ. 8 გვ.

# ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ

**(მეშვიდე გვერდიდან)** უაღესად მნიშვნელოვანია ამოვიკითხოთ ის მოტივი, რამაც აიძულა ჩვენი კოლეგა დაეწერა საკმაოდ მოცულობითი წიგნი და ეს მოტივაციაც მეტ-ნაკლებად იკვეთება – აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედნი, ჩვენ, ქართველები ვართ, ეს არის სრული სიმართლე და სიმართლე აღმატებულ ხარისხში, რაზეც წამდაუწუმ მიუთითებს ნაპო მესხია. მოტივს შევეხეთ, მაგრამ ამ ოპუსის ლაიტმოტივს უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ეკუთვნის, ეს რუსეთის აპოლოგიაა, კონფლიქტების დარეგულირებაში მისი უაღრესად პოზიტიური როლისა და ადგილის წარმოჩენაა, რასაც თითქმის ყოველ თავში მინიშნებით თუ აშკარად საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ავტორი და აკუმულირებული სახით გვთავაზობს 208-ე გვერდზე: **„...ყველაფერი აქსიომატურია, თუ კი გავიხსენებთ და მხედველობაში მივიღებთ საქართველოში ამ პერიოდისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ამბობენ, რომ არ გაგვიმართლა კოლონიზატორთან დაკავშირებით, რომ უმჯობესი იქნებოდა ინგლისი, საფრანგეთი თუ გერმანია. კი მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სწორედ რუსეთის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი როგორც ერის, ენისა და სარწმუნოების გადარჩენა. თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ირანში ფერეიდნელი ქართველებისა და ტრაპიზონის ვილაიეთი თურქეთში, სადაც 5 მილიონამდე ლაზი (მეგრელი) მუსულმანი ცხოვრობს, რომელთაც დაკარგეს ეროვნება, ენა და სარწმუნოება. ასე რომ არავინ იცის რა დაგვემართებოდა რომ არა რუსეთი. ამის დავიწყება არ შეიძლება და საკუთარი პოლიტიკური დალტონიზმით არ შეიძლება გაამართლო მხოლოდ რუსეთის კოლონიალური მისწრაფებები. და კიდევ, არ შეიძლება ერთმანეთში აურიო რუსეთის პროიმპერიული ძალები და ჩვენი ერთმორწმუნე რუსი ხალხი: უნდა განვასხვავოთ ხალხი და მისი კულტურა პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისგან. ერთი სიტყვით, „не следует наводить тень на плетень“ и „пугать божий дар с ячницей““!**

ამგვარი სახის სხვა დარიგებებიც არაერთხელ გაჟღერებულა ჩვენში, როგორც პოლიტიკოსების, ასევე პოლიტიკისაგან საკმაოდ შორს მყოფი სუბიექტების მხრიდან და მათ მიერ გამოთქმული ნააზრევის ახსნას და მისთვის შეფასების მიცემას ნამდვილად არ სჭირდება დიდი ძალისხმევა – მონობას, თანაც კონკრეტულ, რუსულ მონობას დანატრებული ადამიანის მსჯელობაა ეს და სხვა არაფერი. თუმცა ნაპო მესხია წინასწარი განზრახვით გვმოძღვრავს, რათა უკვე დამოძღვრილმა მნიშვნელოვანი არჩევანი, გააკეთოს მავანმა და აი, არჩევანი – რომელსაც ჩვენი კოლეგა გვთავაზობს **„...უარი უნდა ვთქვათ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესვლაზე, თუკი არ გვსურს საბოლოოდ დავემშვიდობოთ აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს! ადამიანი ან ბრმა ან მოღალატე უნდა იყო, რომ ყოველივე ეს არ დაინახო და არ გაიგო! ეს უნდა შეისმინოს და გაიგოს ყველამ!“** აი, სად ყოფილა, როგორც ჩვენში იტყვიან, ძაღლის თავი დამარხული. ამგვარ შემთხვევაში ამბობენ, შეკითხვები არ არის და არც შეიძლება არსებობდესო. თუმცა, როგორც ავტორი ფიქრობს ავანტიურისტ და ურწმუნო თომებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და სწორედ მათ გასაგონად აცხადებს, რომ **„...რუსეთთან შეიძლებოდა საერთო ენის მოძიება და ეტაპობრივად საკითხების გადაჭრა. იგი დგამდა შემხვედრ ნაბიჯებს და არაერთხელ...“** (გვ..208) და ამის დასტურად მოჰყავს სრულიად საეჭვო ფაქტები. სიტყვამ მოიტანა და ჩვენი კოლეგის მიერ მოტანილ უმრავლეს „უტყუარ“ ფაქტს ერთი განსაკუთრებული თავისებურება გააჩნია – მათი გადამოწმება შეუძლებელია მიზეზთა გამო, რომელთაგან გამოვყოფ აპელირებას ფაქტში დამოწმებული აწგარდაცვლილი პიროვნებებით, მაგრამ რას იზამ, ისინი რომ ამქვეყნად აღარ არიან, ავტორის ბრალი ხომ არ არის? ნამდვილად არ არის და უმჯობესია ამ თემაზე საუბარი ამით დავასრულოთ. თუმცა, ჩვენი კოლეგა რუსული იმპერიული ლოგიკის მოშველიებით უღრმავდება საკითხს, წვდება აშშ-ს და გვაფრთხილებს, რომ ძია სემი ცუდია, მასთან ყოფნა სავალალო შედეგის მომტანი იქნება ჩვენთვის და სწორედ ამიტომ მისგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ: **„მსოფლიოს ხალხებს ახსოვთ 1945 წლის ნიმუშის ამერიკა, რომელმაც ატომური ბომბები დაყარა ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მოსახლეობას... ხალხს ახსოვს ამერიკა კორეასა და ვიეტნამში... ხალხს არ დავიწყებია ამერიკა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ნატოს ძალებით ბომბავდა ბელგრადს, და ბოლოს ხედავენ თუ როგორ ახორციელებენ „გადამწვარი მიწის“ პოლიტიკას ერაყსა და ავღანეთში დემოკრატიის მოშველიებით და ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ადამიანის უფლებათა, სხვა პოლიტიკური თავისუფლებებისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის ეგიდით, ხოლო სინამდვილეში ყველაფერი ხორციელდება მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე“** (გვ.224.) ასეთი გახლავთ ნ.მესხიას მიერ დანახული და ჩვენთვის მოწოდებული ბუა – ამერიკა.

ავტორი გვერდს არ უვლის ამ ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაზოხიზმით გაჯერებულ აფხაზთა წინაშე ბოდიშის მოხდის დაუოკებელ სურვილს და მოგვიწოდებს **„...აღვივსოთ ვაჟკაცობით და ყველას გასაგონად წარმოვთქვათ: დამნაშავეები ვართ, გვაპატიეთ, ხალხო, ვინანიებთ!!! ამასთან მნიშვნელოვანია თუ ვინ წარმოსთქვამს და როგორ იტყვის ამას! ...ამისათვის უნდა გაგაჩნდეს ვაჟკაცობა, მაღალი ზნეობრიობა, ეროვნული ღირსება და მორალი!“** (გვ.221). თურმე ნუ იტყვით და ვაჟკაცობა, მაღალი ზნეობრიობა, ეროვნული ღირსება და მორალი სჭირდება, ბოდიში მოუხადო მათ, ვინც



ქართველთა მიმართ მტრობა იდეოლოგიად გაიხადეს, ვინც მხეცური აღტკინებით გვიუპატიურებდა დედებს, დებს და შვილებს, ვინც ჩვენი ძმების სადისტურად მოკვეთილი თავებით ფეხბურთს თამაშობდა, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა გენოციდსა და ეთნოწმენდაში, ვინც უაპელაციოდ და გამომწვევად დაეუფლა თაობების მიერ შექმნილ ქართველთა მატერიალურ ფასეულობებს და ბოლოს, მათ, რომლებმაც მამა-პაპეული საფლავების მონახულება საოცნებოდ გაგვიხადა. ეს ყველაფერი იმ ზღვარს სცილდება, სადაც სრულდება მორალი და ზნეობა და იწყება დანაშაული და ღალატი. სხვა შემთხვევაში რამ უნდა გაიძულოს ანალოგი მოუძებნო ქართველთა მიერ აფხაზებისათვის სათქმელ ბოდიშს და გერმანიის მიერ მსოფლიოს წინაშე წარმოთქმულ ბოდიშს. აქ აქცენტები ისეა აღრეული, რომ ჩვენი კოლეგა გერმანულ ფაშიზმსა და აფხაზთა მიმართ ქართველების მიერ ჩადენილ „დანაშაულს“ ერთ სიბრტყეში აყენებს. აი, ეს არის მზაკვრობაც, დანაშაულიც და ღალატიც.

მზაკვრულად იყენებს ნ.მესხია იმ ფაქტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავს კიდევაც რეალობას, მაგრამ მათი არგუმენტებად გამოყენება, საზიანოა ქვეყნისათვის, იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ძალა და ენერგია არ უნდა დაიშუროს ტერიტორიული გამთლიანებისათვის, დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებისათვის მამა-პაპათა სამყოფელში. ამგვარი ფაქტები არა თუ უნდა გამოამზეურო, არამედ საგანგებოდ უნდა შეფუთო და გადამალო, მანამ, სანამ მისი სააშკარაოზე გამოტანის ჟამი არ დადგება და ეს ის დრო იქნება , როდესაც აფხაზი და ქართველი ერთნაირი პრინციპულობითა და სიმკაცრით მოითხოვს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი დამნაშავის გასამართლებას, როდესაც ბოდიშს ერთმანეთს კი არ მოუხდიან, არამედ უფალს სთხოვენ პატიებას და მის წინაშე მოინანიებენ უხვად ჩადენილ ცოდვებს.

ავანტიურიზმის იშვიათი ნიმუშია საკმაოდ მოცულობითი მერვე თავი **„...ბოლო სიტყვა, ანუ აფხაზეთის ტრაგედიის მეგრული შემდგენელის შესახებ“,** რომელიც მეცნიერ-სპეციალისტის კომენტარს სრულიად არ საჭიროებს, თუნდაც იმიტომ, რომ მავანი და მავანი მეცნიერი არ ჩაერთოს იმ ტრაგი-კომიკურ ფარსში, რომელიც დასაფუძვლებული იქნება შოთა რუსთაველის მეგრულ თუ არამეგრულ წარმომავლობაზე. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კოლხურ-მეგრული თემატიკა სამწუხაროდ, დღესაც ვეტოდადებულ საკითხად ითვლება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში და ნამდვილად საჭიროებს აქტუალიზაციას; რომ მეგრელებთან და სამეგრელოსთან დაკავშირებით ბევრი სცოდავდა და ნაკლებად, მაგრამ დღესაც სცოდავს; რომ საქართველოს ისტორიის კოლხური შემადგენელი მხოლოდ ზედაპირულად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში; რომ ნამდვილად იკერებოდა შავზე თეთრი ძაფით ე.წ. „მეგრული საქმეები“; რომ ნამდვილად ხორციელდებოდა მეგრელთა და სამეგრელოს „გონსმოყვანის“ სადამსჯელო ოპერაციები, მაგრამ იმ სახითა და შინაარსით, როგორითაც ნაპო მესხია წარმოგვიდგენს თემას, უფრო მეგრული სეპარატიზმის (რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ჩემის ღრმა რწმენით არც არასოდეს იარსებებს) წახალისებაა, ვიდრე საკითხის გარშემო კეთილსინდისიერი მსჯელობა, ხოლო პრობლემის იმ კონტექსტში განთავსება, რა კონტექსტშიაც ადგილდამკვიდრებულია იგი ჩვენი კოლეგის ნაშრომში, სხვა არაფერია, თუ არა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც შეუნიღბავად უპირისპირდება ქართულ სახელმწიფოს.

მთლიანობაში, ბ-ნ ნაპო მესხიას წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ხელს უწყობს არა „მწარე სიმართლის“ გამჟღავნებას, არამედ სინამდვილის კიდევ უფრო გამრუდებას და ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში მის წარმოჩენას. წიგნს არათუ არ აქვსო „სამკურნალო თვისებები“, პირიქით, იგი დამატებით წარმოშობს კიდევ ახალ გვერდით მოვლენებს“, დაავადებებს დაუსჯელობისა, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი არნახული ბოროტმოქმედებების გამართლებისა და ა.შ. **აღნიშნული წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანს პირველ რიგში შემდეგი კითხვა უჩნდება: რატომ არის ავტორი ასე გაბოროტებული და დაბოღმილი საკუთარი კოლეგების, უმაღლესი საბჭოს როგორც ინსტიტუციის მიმართ? თამამად შეიძლება ორი მთავარი მიზეზი დასახელდეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ბ-ნი ნაპოს კანდიდატურის უარყოფას ვ.არძინბასა და მთელი აფხაზური დეპუტაციის მიერ, ნ.მესხია სრულიად უსაფუძვლოდ დღემდე აბრალებს არა მის უარმყოფელებს, არამედ იმ ქართველ დეპუტატებს (დღევანდელი უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას), რომლებმაც შიდა კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით სწორედ მის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი; და კიდევ, ბ-ნი ნაპოს ნამდვილი გაბოროტება გამოიწვია 2009 წლის მარტში (და არა 2008 წ. მარტში, როგორც ნ.მესხია წერს) მისი კანდიდატურის ჩავარდნამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. აი, რატომ არის ქართული დეპუტაცია ყველაფერში „დამნაშავე“, რატომ იქცა ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო „ეგრეთ წოდებულად“?! ეს გახლავთ ყველაზე დიდი „მწარე სიმართლე“, რომელსაც ბ-ნი ნაპოც მისდაუნებურად აღიარებს.**

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ თუ მართლა არის ლუსტრატორი (იხ. „რედაქტორისგან“), **იგი, პირველ რიგში, ახდენს ავტორის, როგორც პოლიტიკისაგან ძალიან შორს მდგარი, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ამავე დროს განაწყენებული და ჩასაფრებული ადამიანის ლუსტრირებას. ამდენად, უმაღლესი საბჭო ემიჯნება წიგნის სულისკვეთებას, ავტორისეულ დასკვნებსა და შეფასებებს,**

**– ვინაიდან იგი წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას;**

**– ვინაიდან აფხაზეთში ომის სიღრმისეულ მიზეზებს ავტორი ხედავს არა ათწლეულების მანძილზე რუსეთის იმპერიის (მეფის რუსეთის, სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციის) მიერ მიზანმიმართულად წარმოებულ აფხაზთა რუსიფიკაციის, ძმათა შორის შუღლის ჩამოგდების, სეპარატიზმის წაქეზების, მისი იდეოლოგიური და სამხედრო მხარდაჭერის (ყოველივე ამით კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობის ან შეზღუდვის) დანაშაულებრივ პოლიტიკაში, არამედ იმ ქართული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაში, რომლებიც ამ იმპერიულ, ანტიქართულ პოლიტიკას უპირისპირდებოდნენ;**

**– ვინაიდან უშუალო პასუხისმგებლობა აფხაზეთში ომის დაწყებისთვის წიგნში დაკისრებული აქვს არა კრემლსა და მის მარიონეტებს, არამედ ისევ და ისევ აფხაზეთელ ქართველებს, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილს, მათ შორის ქალბატონებს(?!), ზოგიერთ მინისტრსა და საზოგადოების წარმომადგენელს;**

**– ვინაიდან მთელი რიგი პოლიტიკური და მეცნიერული საკითხების განხილვისას ავტორი ხშირად ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას, დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და მიამიტობას (გარდა VIII თავის პირველი პარაგრაფისა, სადაც ბ-ნი ნ.მესხია აფხაზეთში მისი თავკაცობით დაფუძნებული ნეიროქირურგიული ცენტრის შესახებ მოგვითხრობს);**

**– ვინაიდან მთელი რიგი ავტორისეული შეფასებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ალოგიკურია;**

**– ვინაიდან წიგნში ნათქვამი ზოგიერთი სიმართლეც კი (მაგალითად ე. შევარდნაძის შეფასებები და ა.შ), როგორც წესი, ანტიქართულ სამოსელშია გახვეული;**

**– ვინაიდან ავტორი, მსგავსად ოკუპანტებისა და სეპარატისტებისა, ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობს ქართველ ერში განხეთქილების შეტანას არარსებული „მეგრული საკითხის“ შემოგდებით;**

**– ვინაიდან ნ.მესხია აშკარად განიცდის რა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს, დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით – თითქოს ის იყო უმაღლეს საბჭოში ყველა წამოწყების ინიციატორი და წარმმართველი, რაც ძალიან, ძალიან შორსაა სიმართლისაგან.**

**თეიმურაზ მჟავია**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული რეფორმებისათვის“ თავმჯდომარე;

**ჯემალ გამახარია**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„სად წაიყვან სადაურსა“

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

## ჯაბადარი, ალი ყული ბეგი (მე-17 საუკუნე)



**ქართული წარმოშობის მხატვარი, სპარსეთში მოღვაწე. შემორჩენილია შაჰის კარის ცხოვრებისა და ნადირობის სცენების ამსახველი იმისი რვა მინიატიურა (ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი). ერთ მათგანზე შემორჩენილია შესრულების ადგილისა (ყაზვინი) და თარიღის (1674) აღნიშვნა.**

მრავალფიგურიანი კომპოზიციები შესრულებულია გვიანდელი სპარსული მინიატიურის ტრადიციებში, თუმცა შეიმჩნევა დასავლეთევროპული ხელოვნების ცალკეული მოტივებიც. მინიატიურებზე გვხვდება ქართული წარწერები.

შესრულების ოსტატობით ჯაბადარის ნაწარმოებები იმჟამინდელი საუკეთესო სპარსული მინიატიურების ნიმუშებს უტოლდება.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

**სურათზე: ჯაბადარის „შაჰი და დიდებულები“.**

შაბათ-კვირის ჩანაწერები

# სურათიდან გადმოღვრილი სათნოება



ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სათნო ღიმილიან ფოტოსურათს შინ კედელზე ვაკრავ.

– რა სურათებიც გვაქვს უწმინდესისა და უნეტარესის, ეს, მგონი, ყველას სჯობს, ბაბუ, – მეუბნება იქვე მდგომი ჩემი შვილიშვილი ანანო და მოწიწებით შესცქერის სურათს. **„უწმინდესისა და უნეტარესისო“** – ანანომ და მე ისევ და ისევ მახსენდება ჩემი უნებლიე შეცდომა, რომელიც კარგა ხნის წინათ მომივიდა ილია მეორის წოდების დასახელებისას.

...კომუნისტების დროა, გაზეთ „კომუნისტში“ ვმუშაობ და, ერთ საღამოს, ნომერზე მორიგეობისას, პირველ გვერდს რომ ვკითხულობ, აგერ, ბრძანებულებაა დაბეჭდილი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. ვიფიქრე, სანამ ხვალ წაიკითხავს, დავურეკავ უწმინდესს და ტელეფონით წინასწარ მივულოცავ-მეთქი. 09-ზე ვთხოვ საპატრიარქოს ნომერს, მერე ვრეკავ და მამაკაცის ხმას ვეუბნები: „**ბატონ** ილიას სთხოვეთ, თუ შეიძლება!“

„ილია, **ბატონი** კი არა, უწმინდესი და უნეტარესია... აი, ამ ნომერზე დარეკეთ და დაგალაპარაკებენ“. ვრეკავ. ამჯერად ქალის ხმაა, რომელთანაც უკვე „ვასწორებ“ ჩემს უნებლიე შეცდომას: „თუ შეიძლება, უწმინდესსა და უნეტარესს სთხოვეთ!“

„დაელოდეთ!“

და აი, ხავერდოვანი, მომფერებელი ხმა: „გისმენთ!“

„საღამო მშვიდობისა, უწმინდესო და უნეტარესო!“

„მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!“

„უწმინდესო და უნეტარესო, მე გაზეთ „კომუნისტის“ ხვალინდელი ნომრის მორიგე ვარ, ამწუთას წავიკითხე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, თქვენი დაბადების 50 წლითავთან დაკავშირებით, საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ და ვიფიქრე, წინაწარ მივულოცავ დაბადების დღეს და ჯილდოს-მეთქი“.

„გმადლობთ, ღმერთმა გაგახაროთ თქვენ და თქვენი ოჯახი!“

„იცოცხლეთ!“ – და ყურმილს ვდებ ერთიანად ოფლში გახვითქული.

არ მერცხვინება ხოლმე ამ უნებლიე თუ მექანიკური შეცდომის გახსენება, რადგან ჩემი ეს „იაღლიში“ აბსოლუტურად იმ ეპოქის „პროდუქტი“ იყო, რომელშიც მთელ თაობებს მოგვიხდა ცხოვრება. მართალია, ბევრმა (და მეც, მათ შორის), სულ ხუთიოდე წლის აღსაყდრებული ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის წოდებებიც ვიცოდით და განვლილი გზაც, მაგრამ რახან ასე ყოველწუთიერად შინ, ქუჩაში, ტრანსპორტში, ტელევიზიაში, რადიოში, პრესაში... არ გვესმოდა საეკლესიო ფრაზეოლოგია, მეც, უნებლიედ, **„ბატონ ილიას“** თხოვეთ-მეთქი.

...მაგრამ, ღმერთის წყალობით, დაკნინებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელად მოგვევლინა ჭეშმარიტი ღვთის კაცი, რომელმაც, რა ღვაწლიცა და ამაგიც დასდო ქართულ სულიერებას, მთელმა მისმა სამწყსომ კარგად იცის, ხოლო მისი უკიდეგანო ავტორიტეტი ზედმიწევნით გამოჩნდა ამ დღეებში, როდესაც ჩვენს პატრიარქს მთელმა მართლმადიდებლურმა სამყარომ მიულოცა საიუბილეო თარიღები...

ბედნიერები არიან დღევანდელი ახალგაზრდები, ჩემი ანანოს თაობა და მომავალი თაობები, რომლებიც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ გარემოში იზრდებიან და გაიზრდებიან, გულის კოვზზე კი ამოტვიფრული ექნებათ ჩვენი საამაყო პატრაირქის შეგონება: **„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“.**

და ამ შეგონებით ამაღლდება და გაბრწყინდება საქართველო! ამინ!

# აკაკის კალმის სიმახვილე

რა გასაკვირია, რომ საჩხერესა და საჩხერლებს განსაკუთრებით ეამაყებოდეთ აკაკი წერეთლის გენია და მთელი საქართველოს უსაყვარლეს მგოსანს, სწორედ აქ მიაგებდნენ უპირველეს პატივს... აკაკის სული ხომ აქ ტრიალებს, აქედან ეფინება ამერიმერს. არ გვიკვირს **ცეზარ ლაშხისაც** – ჩვენი უნივერსიტეტელი მეგობრისა, მართლაც „გულდამწვარი“ საჩხერელისა, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მშობელ კუთხეში მუშაობდა პედაგოგად, იყო საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, რაიონის გამგებელი, ამჟამად კი აკაკი წერეთელს „პატრონობს“, არის მისი სახლ-მუზეუმის დირექტორი, მრავალი ნარკვევის ავტორი აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელთაგან გამორჩეულია 2010 წელს გამოცემული წიგნი „აკაკი ქრისტიანობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი“.



ჰოდა, აი, ცეზარ ლაშხს ახალი მონოგრაფია **„დამეხსენი ჩრდილოელო“... ანუ „აკაკი და რუსეთი“** გამოუცია. როგორც ზურაბ თურმანიძე მონოგრაფიის შესავალში წერს: „ისტორიული მეზობლების საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის გარკვევის საკითხები, რაც დრო მიდის, სხვადასხვა გარემოებების გამო, უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

დაინტერესებულ მკითხველს ამ ლაბირინთებში ერთგვარ მეგზურობას გაუწევს ეს წიგნი, რომელშიც თავმოყრილია აკაკის შეხედულებები საქართველოს მიმართ რუსეთის მმართველი წრეების მოქმედებების თაობაზე. პოეტი ჩვეული პირდაპირობით და ობიექტურობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ არც დადებითის მიჩქმალვა მოგვიტანს სიკეთეს, არც უარყოფითზე თვალის დახუჭვა“.

ჰოდა, ცეზარ ლაშხი საკუთარი მაღალპროფესიული თხრობის, აკაკის პოეზიის თუ პუბლიცისტიკის (მარტო ბრწყინვალე „სიმართლე“ რად ღირს!) ზომიერად მოხმობის წყალობით, რომლებშიც ჩანს პოეტის სულის სიბობოქრე, კალმის სიმახვილე, ძალზე საინტერესოს ხდის ამ მომცრო კრებულს, რომლის ყოველი გვერდი, თითქოსდა, კვლავაც ღაღადისია „განთიადის“ ავტორისა: „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე!“

ყველა დროის ღაღადისია „ერთადერთი აკაკისა“, მაგრამ ესმა ვინმეს?!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## დედამიწის ზურგზე




**საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის კაბინეტს, „კალაშნიკოვის“ ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნეს**

პოლიციელები ვარაუდობენ, რომ თავდამსხმელები დაიმალნენ მანქანით, რომელიც მეზობელ კვარტალში დამწვარი ნახეს. მმართველი პარტიის „ახალი დემოკრატიის“ შტაბ-ბინის დაცხრილვა მოხდა მის მომხრეებსა და ჟურნალისტებზე რამდენიმე თავდასხმის შემდეგ.

* * *

**„მეტროში – უშარვლებოდ!“: მსოფლიოს 60 ქალაქში გაიმართა მე-12 ყოველწლიური ნახევრადშიშველი „ფლეშმობი“**



„ფლეშმობის“ განხორციელების მექანიზმი წლების განმავლობაში არ შეცვლილა: მგზავრების ჯგუფი შედის მეტროს ვაგონში, ხალხი იქცევა მშვიდად და წყნარად და გეჩვენება, რომ არც იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ უეცრად იწყებენ გაოცებული მგზავრების თვალწინ შარვლების ჩახდას. შემდეგ ფეხსაცმელებს იცვამენ ისევ და „ფლეშმობელები“ აგრძელებენ მგზავრობას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

* * *

**ობამამ აღიარა ავღანელი თალიბები, რომლებსაც აშშ დღემდე ტერორისტებად მიიჩნევდა**



ამერიკის პრეზიდენტმა გააკეთა მთელი რიგი მნიშვნელოვანი განცხადება ვაშინგტონში ავღანელ კოლეგა ჰამიდ კარზაისთან მოლაპარაკების დროს. აზიურ ქვეყანაში თალიბების პოლიტიკურ პროცესში ჩაბმის გარდა, მას განზრახული აქვს მნიშვნელოვნად დააჩქაროს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გამოყვანა. მეთვალყურეები აკეთებენ დასკვნას თეთრი სახლის ავღანური სტრატეგიის რადიკალური ცვლილების შესახებ.

* * *

**ბრიტანეთმა შექმნა „ქუხილმსხვრევი“ – მეხუთე თაობის ზებგერითი კონტინენტთაშორისი უპილოტო თვითმფრინავი**

„ტარანისი“ – მეხუთე თაობის უპილოტო მზვერავი – შემტევია, რომელიც გათვლილია კონტინენტთაშორისი ფრენების შესასრულებლად. თვითმფრინავს სახელი კელტების ქუხილის ღმერთის ტარანისის პატივსაცემად უწოდეს. არსებული ანალოგებისაგან პრინციპული სხვაობა არის ის, რომ „ტარანისი“ მთლიანად დამოუკიდებელია, ადამიანს მიმართავს მხოლოდ, როდესაც მიზანს სამიზნეზე აიყვანენ.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ხალიჩაზე – ღირსეულნი

# ქართულ საჭიდაო ოჯახში ახალი ერა დაიწყო

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები შეიკრიბნენ და რამდენიმე აქტუალურ საკითხზე იმსჯელეს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც მიიღეს, ოღონდ წინასწარ დაანონსებულ საკითხზე – მწვრთნელთა კორპუსში ახლახან განხორციელებულ ცვლილებებზე ამჯერად არაფერი თქმულა.**



დღის წესრიგში შეტანილი ძირითადი საკითხების ამოწურვის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ დამსწრეთ შეახსენა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელობის მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნის შესახებ, მაგრამ პრეზიდიუმის წევრებმა ამ თემის განვრცობა არ ისურვეს, აქაოდა პრეზიდენტმა თავისი უფლებამოსილება გამოიყენა, თან ეს საკითხი დღის წესრიგშიც არაა შეტანილი და მასზე ლაპარაკი აღარ ღირსო. იქვე ითქვა, რომ ახალი მწვრთნელების საკითხს 2013 წლის ბოლოს მიუბრუნდებიან, როდესაც მათ მიერ სეზონის განმავლობაში გაწეულ სამუშაოს შეაჯამებენ.

პრეზიდიუმის სხდომის დაწყებამდე სპორტის სამინისტროს წინ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ყოფილი მწვრთნელები შეიკრიბნენ. ახალგაზრდული გუნდის თავკაცის, ნუგზარ სხირელის განცხადებით, ფედერაციის პრეზიდენტი უსამართლოდ მოექცა და თუ კურტანიძის გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის წევრებიც მხარს დაუჭერდნენ, მაშინ სიმართლის დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტს და სხვა ინსტანციებს მიმართავდა.

„ქართული ჭიდაობისთვის აჯობებს, ყოფილი მწვრთნელები აბსოლუტურად უსაფუძვლო პროტესტისა და სასამართლოებში სირბილის ნაცვლად ახალგაზრდა ნიჭიერ თაობას დაუდგნენ გვერდით და თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარონ. ცვლილებების განხორციელება დრომ მოითხოვა და არა პირადმა სიმპათია-ანტიპათიამ. 20-წლიანი მართვის დაკარგვას ვერ ეგუებიან" – განაცხადა ლუკა კურტანიძემ და იქვე დასძინა, რომ ცვლილებები სამომავლოდაც გაგრძელდება, ოღონდ ვიდრე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებში რაიმეს შეცვლის, ფედერაციის პრეზიდენტი სპორტსმენებთან და სპეციალისტებთან დალაპარაკებას აპირებს.

რაც შეეხება პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს, ერთ-ერთი უმთავრესი ფედერაციის ვიცეპრეზიდენტების დასახელება და დამტკიცება იყო. ლუკა კურტანიძემ დამსწრეთ ვალერი გელაშვილის, ბაკურ გოგიტიძისა და ვოვა კანკავას კანდიდატურები წარუდგინა და ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. აქედანვე დაკონკრეტდა, რომ გელაშვილი ძირითადად ბიზნესთან ურთიერთობის კუთხით იმუშავებს, გოგიტიძე რეგიონებში ჭიდაობის განვითარებას მიხედავს, ხოლო კანკავა – მთელ რიგ ტექნიკურ საკითხებს.

სხდომას სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვიც დაესწრნენ. მათ ძირითადი ყურადღება 19-24 მარტს თბილისში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატის სამზადისზე გაამახვილეს. ითქვა, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს და თითოეული საორგანიზაციო დეტალი უმაღლეს დონეზე მოგვარდება. უკვე შეიქმნა ევროპირველობის საორგანიზაციო მუშა-ჯგუფი, რომელშიც ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობისა და ვეტერანი მოჭიდავეების გარდა ძიუდოს ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი ვლადიმერ ნუცუბიძეც შეიყვანეს.

ლუკა კურტანიძის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ჩემპიონთა კლუბი, რომელიც საქართველოს ყველა ტიტულოვან მოჭიდავეს გააერთიანებს. ჩემპიონთა კლუბის პრეზიდენტად პრეზიდიუმის წევრებმა გურამ საღარაძე აირჩიეს. ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად კი ერთხმად დასახელდა ლევან თედიაშვილი.

დაბოლოს ერთი საინტერესო ინიციატივაც, რომელიც თამაზ თევზაძეს ეკუთვნის – ამ სეზონიდან ჭიდაობაში საკლუბო სისტემა ამოქმედდება და, სავარაუდოდ, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატიც გაიმართება.

**გიორგი შოთაძე**

◉ კონტაქტი

# „დინამოს" გიორგი შაშიაშვილი დაუბრუნდა

**შვიდწლიანი განშორების შემდეგ „დინამო" თბილისს გიორგი შაშიაშვილი დაუბრუნდა. 33 წლის მცველმა ამ გუნდში სადებიუტო მატჩები 1996-97 წლების სეზონში ითამაშა.**



**გიორგი შაშიაშვილმა, რომელიც ოთხი სეზონი კაპიტნის სამკლაურით უძღვებოდა გუნდს, „დინამოს" მაისურით ზედიზედ რვა სეზონი ჩაატარა. საქართველოს ჩემპიონატში მან 189 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა, ევროასპარეზზე ნათამაშებ 20 მატჩში კი – ორი ბურთი. 1999–2001 წლებში გიორგის საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით 30 თამაშში აქვს მონაწილეობა მიღებული. გიორგი შაშიაშვილს სხვადასხვა დროს „ალანიაში", „ჩერნომორეცში", „შტურმში", „ერგოტელისში" და „დილაში" აქვს ნათამაშები.**

მისი კარიერის გვირგვინად იტალიის ნაკრების კარში გატანილი გოლი და 2004 წელს დსთ-ს ჩემპიონთა თასის მოპოვება შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**გიორგი შაშიაშვილი:** „დინამოს" მაისურით გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის სასიხარულოა. ამ გუნდის აღზრდილი ვარ და როგორც ფეხბურთელი „დინამოში" ჩამოვყალიბდი. ჩემს კარიერაში ყველა დიდი წარმატება სწორედ „დინამო" თბილისთან ასოცირდება – შეიძლება ითქვას, რომ დღეს სახლში დავბრუნდი. იმ პერიოდში, როდესაც „დინამოდან" წავედი, სულ სხვა სიტუაცია იყო, ახლა კი სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, თუნდაც დიღმის საწვრთნელი ბაზა ავიღოთ – ასეთი პირობებით ბევრი ევროპული გუნდიც ვერ დაიტრაბახებს. შესაბამისად, დღეს „დინამო" კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ეს ფაქტორი ყველას დამატებით მოტივაციას მატებს და არც მე ვარ გამონაკლისი. მართალია „დინამო" ჩემი მშობლიური გუნდია, ოთხი წელი კაპიტნის სამკლაურით ვთამაშობდი, თუმცა დღეს ყველაფერი თავიდან იწყება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „დინამოს" წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო.

**ბეჟან დოლიძე**

◉ ვითარება

# ბოისა ოჯახთან დააბრუნეს

***ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის, თასისა და სუპერთასის მფლობელ „არმიასთვის" 2013 წელი კადრების გადინებით დაიწყო. ფინანსურ კრიზისში მყოფი ძალოვნების რიგებს ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ წამყვანი კალათბურთელები. კურტის მილიჯის (აშშ), მარკუს ფეისონის (ბელგია), დამეინ ვილსონისა (აშშ) და იოაკიმ შელბომის (შვედეთი) შემდეგ, „არმია" საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა ვლადიმერ ბოისამ დატოვა, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა (საქართველო, სლოვენია) აქვს. ვოვა სლოვენიაში გუშინ გაემგზავრა, სადაც მას მეუღლე და ორი შვილი (გოგო და ბიჭი) დახვდა.***

***სამშობლოდან წასვლის წინ „მსოფლიო სპორტი" ვლადიმერ ბოისას ვესაუბრეთ.***




**– რა გახდა „არმიადან" თქვენი წასვლის მიზეზი?**

– საქართველოს XXII ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ, „არმია" ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა. საშობაო არდადეგების დასრულების შემდეგ, კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხაზე იმდენად ნაკლები შემომთავაზეს, რომ იძულებული ვარ, გუნდი დავტოვო და ცოლ-შვილთან, სლოვენიაში გავემგზავრო. არ მინდა წასვლა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**– „არმიაში" მხოლოდ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის შენარჩუნების შემთხვევაში დარჩებოდით?**

– მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და „არმიას" შორის მოქმედი კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების შედეგად გაფორმდა, მე თანახმა ვიყავი, „არმიაში" ხელფასის განახევრების შემთხვევაშიც კი დავრჩენილიყავი, მაგრამ „არმიას" ხელმძღვანელობამ ეს ვარიანტი არ გაიზიარა.

**– რამდენი იყო „არმიაში" თქვენი ყოველთვიური ხელფასი?**

– კონტრაქტიდან გამომდინარე, სახელფასო თანხის დასახელების უფლება არ მაქვს.

**– „არმიასთან" კონტრაქტში ის თუ იყო გათვალისწინებული, რომ თქვენთვის განკუთვნილი ხელფასი შეემცირებინათ?**

– რა თქმა უნდა, ასეთი შეთანხმება არ ყოფილა. შემიძლია კუთვნილი ხელფასის მისაღებად სასამართლოს მივმართო, მაგრამ ამას არ გავაკეთებ.

**– „არმიას" თქვენი დავალიანება ხომ არ აქვს?**

– არა.

**– ევროჩელენჯის თასზე ასპარეზობისას, ჯგუფური ეტაპის რ ჯგუფის მე-2 წრეში, ჰოლონის „ჰაპოელთან", თბილისში, ფეხის ტრავმა მიიღეთ და ამის შემდეგ აღარ გითამაშიათ, ახლა თავს როგორ გრძნობთ?**

– თვენახევარზე ცოტა მეტი გამიცდა. სრული დატვირთვით სავარჯიშოდ მზად ვარ, მაგრამ თამაშისთვის – არა.

– ახლა რას აპირებთ?

– გაურკვეველ სიტუაციაში ვარ. არ ვიცი, რა ვქნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრავმა ახალი მოშუშებული მაქვს, გუნდის მოძიება გამიჭირდება. მინდა დავამატო: რომელ გუნდშიც არ უნდა ვითამაშო, „არმიას" წარმატება ყოველთვის გამეხარდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია.** „პარმა" – „იუვენტუსი" 1:1, „ინტერი"-„პესკარა" 2:0, „სამპდორია"-„მილანი" 0:0, „ლაციო"-„ატალანტა" 2:0, „კატანია"-„რომა" 1:0, „ნაპოლი"-„პალერმო" 2:0, „უდინეზე"-„ფიორენტინა" 3:1.

**ესპანეთი.** „მალაგა"–„ბარსელონა" 1:3, „ატლეტიკო"-„სარაგოსა" 2:0, „ოსასუნა"-„რეალი" 0:0, „ვალენსია"-„სევილია" 2:0.

**ინგლისი.** „მანჩესტერი"-„ლივერპული" 2:1, „არსენალი"-„სიტი" 0:2, „სტოკი"-„ჩელსი" 0:4.

**საფრანგეთი.** „პსჟ"-„აიაჩო" 0:0, „ტრუა"-„ლიონი" 1:2, „სოშო"-„მარსელი" 3:1.

**პორტუგალია.** „ბენფიკა"-„პორტუ" 2:2.



◉ ჩოგბურთი

# პირველი შედეგები

**ავსტრალიის ღია პირველობის სტარტზე შთამბეჭდავად ითამაშა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რომელმაც სამ პარტიაში სძლია პოლ-ანრი მატიოს 6:2, 6:4, 7:5.**

რა შეეხება ელიტის ესპანურ დუეტს, ნიკოლას ალმაგრო და ფერნანდო ვერდასკო სეზონის დიდი მუზარადის სადებიუტო ტურნირში ხუთსეტიან ბრძოლებში მოპოვებული უმძიმესი გამარჯვებებით ჩაებნენ, შესაბამისად, სკოტ ჯონსონთან 7:5, 6:7, 6:2, 6:7, 6:2 და დანიელ გოფინთან 6:3, 3:6, 4:6, 6:3, 6:4.

მეორე წრეში გავიდნენ აგრეთვე დავიდ ფერერი, მიხეილ იუჟნი, სტანისლას ვავრინკა, ჟულიენ ბენეტო, ქსავიერ მალისი, კარლოს ბერლოკი, კეი ნიშიკორი, ტომაშ ბერდიხი, იურგენ მელცერი, სემ ქუერი, ბენჯამენ ბეიკერი და ფელიციანო ლოპესი. ვაჟთაგან განსხვავებით, შედარებით გაუჭირდათ ქალთა ასპარეზობის ფავორიტებს. მეტიც, ცვეტანა პირონკოვამ და დანიელა ჰანტუჩოვამ უკვე დატოვეს მელბურნის კორტები. მათ შორის, ვინც განაგრძობს გამოსვლას მწვანე კონტინენტზე, არიან ვენუს უილიამსი, მარიონ ბარტოლი, ლი ნა, იულია გერგესი, კლარა ზაკოპალოვა, ტამირა პაშეკი, სორანა კირსტეა, დომინიკა ციბულკოვა, ოლგა გოვორცოვა, ლუსი ჰრადეჩკა, ქსენია პერვაკი, ელენა მაკაროვა, კირსტენ ფლიპკენსი, აგნეშკა რადვანსკა, სამანტა სტოსური, მარია შარაპოვა, ალისა კორნე, ელენა იანკოვიჩი, რამონა ოპრანდი და ანჟელიკა კერბერი.

**როსტომ რაჭველიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ოქროს ციებ-ცხელება

# უდაბნოს იდუმალი განძი

**ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, 2011 წლის 20 ოქტომბერს, შუასაუკუნოვანი სასტიკი, საჯარო სიკვდილით, როცა მსჯავრდებულებს სარზე სვამდნენ, ლიბიაში პოლკოვნიკი მუამარ კადაფი მოკლეს, რომელიც ქვეყანას 40 წლის მანძილზე მართავდა. ამ ჯერზე სარი ხიშტმა შეცვალა, თუმცა სასამართლოს მსგავსი რამის მოწყობაც კი არავის უფიქრია. მაინც რა იყო ეს — „არაბული გაზაფხულის" გადახრა? მაგრამ ეგვიპტისა და ტუნისის მმართველები ხელისუფლებას ხომ უსისხლოდ მოაცილეს... როგორც ჩანს, ეს იყო საჩვენებელი სიკვდილით დასჯა, რათა სხვებს კადაფის გზას გაყოლის სურვილი აღარ გასჩენოდათ. არადა, მაინც განა რა დააშავა პოლკოვნიკმა ასეთი?**

მთავარი ოფიციალური ვერსიით, პოლკოვნიკი ლიბიაში ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავდა, ამიტომ პროგრესული დასავლეთის დახმარებით ხალხმა იგი ჩამოაგდო. თუკი ეს ასეა, მაშ რატომ იყო, რომ ათეული წლების მანძილზე არაერთი დასავლეთელი ლიდერი გულში იკრავდა სისხლისმსმელ დიქტატორ პოლკოვნიკს და თავიანთ დედაქალაქებში ბედუინურ კარავს აშლევინებდა? ზოგიერთი პოლიტოლოგი იმასაც ამბობს, თითქოს კადაფის სიკვდილი ენერგოშემცველებისთვის, კერძოდ კი ნავთობისთვის ომის შედეგია, მაგრამ ლიბიის გარდა ნავთობით მდიდარი სხვა ქვეყნებიც ხომ არის?



სინამდვილე კი ის არის, რომ კადაფიმ ხელი აღმართა მსოფლიო ვალუტებზე — დოლარსა და ევროზე და მათთვის სრულფასოვანი ოქროს დინარის დაპირისპირება გადაწყვიტა, რასაც შეეწირა კიდეც.

ერთიანი მუსლიმური ვალუტის შექმნის იდეა თავდაპირველად ათი წლის წინათ მალაიზიის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა მაჰათჰირ მოჰამადმა გააჟღერა, რომელმაც მანამდე ღატაკი აგრარული ქვეყანა მძლავრ „აზიურ ვეფხვად" აქცია. მან დინართან დაკავშირებით ორი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება და მონეტის მოჭრის დაწყებაც მოასწრო, მაგრამ ერთ წელიწადში იძულებული გახდა პოსტი დაეტოვებინა.

მის შემდეგ ოქროს დინარის პროპაგანდისტი პოლკოვნიკი კადაფი გახდა, რომელსაც მთელი რიგი არაბული და აფრიკული ქვეყნის, მათ შორის ირანის, სუდანის, ბრუნეის, ინდონეზიის, იემენის, ბანგლადეშისა და სხვების ლიდერებმაც დაუჭირეს მხარი.

ევროპელ ლიდერთაგან განგაში პირველმა ნიკოლა სარკოზიმ ატეხა — აქაოდა ლიბიელებმა კაცობრიობის ფულად უსაფრთხოებაზე ხელი აღმართეს და მსოფლიო ფინანსური სისტემის ჩამოქცევა გადაწყვიტეს, რაც ყოვლად დაუშვებელიაო! საქმე ისაა, რომ სარკოზის ნამდვილად ჰქონდა შეშფოთების საფუძველი, რადგან **ოქროს დინარის იდეის რეალიზების შემთხვევაში იგი მიმოქცევიდან გამოაძევებდა კფა-ს ფრანკს, რომელიც აფრიკის ფინანსური თანამეგობრობის, ანუ ფრანგული ფრანკის სავალუტო ზონაში შემავალი შავი კონტინენტის 14 ქვეყნის ფულად ერთეულს წარმოადგენს.** ამ რეგიონულ ვალუტაზე საფრანგეთს ამჟამადაც დიდი ზეგავლენა აქვს.

ამასთან, ერთიან ვალუტას პოლკოვნიკი კადაფი ერთიან გეოგრაფიულ სივრცესაც — ამერიკის შეერთებულ შტატებს — უმზადებდა, რომელსაც მილიონიანი არმია და ოქროს დინარი ექნებოდა! ასეთი რამ კი ანჩხლ პოლკოვნიკს არასდროს გაუვიდოდა, ამიტომაც „მიიღო" — „არაბული გაზაფხულიც", ბლოკადაც და დაბომბვებიც, ნატოს სარაკეტო დარტყმებიც, ხიშტიც... სხვათა შორის, ნატოს ერთ-ერთ პირველ სამიზნედ ლიბიაში... ოქროს დინარის მოსაჭრელი ქარხანა გახდა. ამერიკაში კადაფის გაყინულ 37 მილიარდი დოლარი კი ლიბიის ცენტრალური ბანკის კუთვნილება იყო, რომელიც კონტინენტზე ოქროს დინარის შემოსაღებად უმნიშვნელოვანესი ფინანსური პროექტების უზრუნველსაყოფად იყო განკუთვნილი.

დინარის საჭიროებისთვის პოლკოვნიკი კადაფი ქვეყნის მთელი ოქროს მარაგის დახარჯვასაც არ მოერიდებოდა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2010 წლის მონაცემებით, ამ პარამეტრით ლიბია მსოფლიოში 24-ე ადგილზე იყო — მას 143,8 ტონა ოქროს მარაგი ჰქონდა. მართალია,



არსებობს ცნობები იმის თაობაზე, თითქოს მმართველობის ბოლო თვეებში კადაფიმ 29 ტონა ოქრო იძულებით გაყიდა, მაგრამ ოფიციალური მონაცემებისა ბევრ ექსპერტს არ სჯერა. საქმე ისაა, რომ მოარული ხმებით, დიქტატორს შავი დღისთვის შემონახული ოქროს ხელუხლებელი მარაგი ჰქონდა, რომელიც ოფიციალურ ანგარიშებში არ ფიგურირებდა. ასეთ ხმებს საკმაოდ სერიოზული საფუძველი აქვს.

პოლკოვნიკის მკვლელობის შემდეგ ლიბიაში ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო. კადაფის განძის ძებნაში აქტიურად ჩაებნენ მეამბოხეები, დასავლური ფირმები და სპეცსამსახურებიც კი. ყველა ჭორებით იყო გაქეზებული, თითქოს კრახამდე ცოტა ხნით ადრე კადაფიმ ტრიპარლიდან ნიგერში ასი სატვირთო მანქანა ოქრო გაიტანა! ოთხი ტონა ოქრო, ნახევარი მილიარდი დოლარი და რამდენიმე კონტეინერი ძვირფასეულობა კი ლიბიის უდაბნოში ჩაფლო. გარდა ამისა, ქონების დანარჩენი ნაწილი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ალჟირში, ეგვიპტეში, უკრაინაში და ბელარუსში გადაინახა, რომელთაგან მხოლოდ ამ უკანასკნელმა უარყო ოფიციალურად, თითქოს კადაფის იქ ოქრო ჰქონდეს შენახული.

აღსანიშნავია, რომ განძეულის მაძიებლებმა პირველ წარმატებებსაც მიაღწიეს. ერთ-ერთ სახლში მეამბოხეებმა ძვირფასეულობით სავსე სეიფს მიაგნეს, ეგვიპტის ხელისუფლებმა კი დაღუპული დიქტატორის ნათესავი ქალი დააკავეს, რომელსაც არადეკლარირებული 10 კილოგრამი ოქროს სამკაულები გადაჰქონდა, შარშან დეკემბერში კი ლიბიის სამხრეთში 20 ტონა ოქრო და 80 მილიონი ევრო იპოვეს.

ოქროს ციებ-ცხელების ახალი ტალღა ახლახან, ოქტომბერში აგორდა, ლიბანური გაზეთის „ალ-დიარის" სენსაციური ცნობის შემდეგ: კადაფის დაზვერვის ყოფილმა უფროსმა აბდულა სენუსიმ დაკითხვაზე აღიარა, რომ უდაბნოში ოქროს საიდუმლო საცავია, რომელიც ლიბიის წინააღმდეგ გაეროს 1992-2003 წლებში ეკონომიკური სანქციების პერიოდშია აშენებული, თუმცა კი მისი ზუსტი ადგილსამყოფელი მისთვის უცნობია. ამის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ კადაფის ვაჟიშვილებმა და რამდენიმე განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილმა პირმა იცოდა.

მაშ, არსებობს თუ არა კადაფის ოქრო სინამდვილეში და სადაა იგი დამალული? ისტორია მოწმობს, რომ დიქტატორთა განძები, ჩვეულებრივ, უკვალოდ ქრებიან, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად. ერთადერთი გამონაკლისია ფილიპინელი მმართველის მარკოსის ქვრივი, რომელმაც ხალხს ნაძარცვი ქონების უმეტესი ნაწილი დაუბრუნა. კერძოდ, დღემდე ეძებენ ოქროს დიდი ტრფიალის სადამ ჰუსეინის განძს, რომელსაც კალაშნიკოვის სისტემის რამდენიმე ავტომატიც კი ოქროსი ჰქონდა, რომლებსაც, მართალია, კი მიაგნეს, მაგრამ ზოდებს ვერა. ამბობენ, რომ სადამის სასახლის ძარცვის შემდეგ 200 ტონა ოქრო ირანში მუსლიმმა შიიტებმა გაიტანეს. ასევე უკვალოდ გაქრა იასირ არაფატის 3 მილიარდი დოლარი, რომლებიც პალესტინელმა ბოევიკებმა ლიბანის ბანკებიდან 80-იან წლებში გაიტაცეს. მოარული ხმებით, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ საბჭოთა სპეცსამსახურის ოფიცერი, რომელიც არაფატს კურირებდა, მოგვიანებით ოლიგარქი გახდა. ჯერჯერობით დანამდვილებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ კადაფის ტრაგიკულმა მაგალითმა ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესს აიძულა ქვეყნის მთელი ოქროს მარაგისთვის სამშობლოში მოეყარა თავი. მანამდე კი მის ნახევარზე მეტი — 211 ტონა! — ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინგლისსა და შვეიცარიაში ინახებოდა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## სანთელი

### გიული ჯალაღანიას მონატრება



15 იანვარს ორი წელი ხდება ჩვენთან შენი განშორებისა, ტკივილიანი და ცრემლიანი ორი წელი. გულს არ სცილდება შენი უსაზღვრო მონატრება და სევდა. ძნელია უშენობა...

წახვედი და თან წაიღე ჩვენი სიხარული, შენ „გულიჩია" იყავი სანიმუშო და საყვარელი და, მამიდა და მეგობარი. წახვედი და დატოვე უკეთილშობილესი და უერთგულესი სახელი.

ჩემო „გულიჩია" შენ, თბილისში გიცნობდნენ, როგორც სიკეთის მთესველს და საყვარელ ადამიანს. ამიტომაც შეგარქვეს „გულო მამი".

ცხოვრების გზა განვლე უანგაროდ, უღალატოდ, ერთგულებით და კეთილსინდისიერებით.

იძინე მშვიდად შენ საყვარელი დედ-მამის გვერდით და ღმერთს შევთხოვ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ ცათა სასუფეველი.

**შენი ოჯახი**



**შვილები ავთანდილ, ნინო ხოფერიები, შვილიშვილები: ვანიკო, კოტე, მარიკო, რძლები: ქეთევან შერვაშიძე, ციალა გოგობერიშვილი, ლუიზა ბარამიძე, მარეხი კოპაძე, თიკო ლეკიშვილი, სიძე ნიკოლას ჰამანი, შვილთაშვილები: სანდრო, ანა, ლუკა, ნინო, ქეთევანი, და — გენრიეტა ვანიძე, დისწულები რუსუდან, ლია, ცირა გოგობერიშვილები, ძმისწულები ნუკრი, მირანდა ვანიძეები, მამიდაშვილი მედეა ქელბაქიანი იუწყებიან**

**ვალიდა მელიტონის ასული ვანიძე-ხოფერიას**

**გარდაცვალებას.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, ცნობილ ლიტერატორსა და ჟურნალისტს ნინო ხოფერიას დედის**

**ვალიდა მელიტონის ასული ვანიძე-ხოფერიას**

**გარდაცვალების გამო.**



**დედა ვალიდა გოლიაძე, მეუღლე თამაზ გიორგობიანი, შვილები მარიკა, ანუკა, შვილიშვილები ვახტანგ, დათო ლებანიძეები, ძმა ზურაბ გამეზარდაშვილი, სიძეები ბაქარ ლებანიძე, ირაკლი ნინუა, ძმისწულები დავით, ეკა გამეზარდაშვილები, რძალი მზია წულუკიძე, მამიდები ნუცა, თინა გამეზარდაშვილები, მამიდაშვილები მარინა, ლადო ბარბაქაძეები, სიმონ, რუსუდან ბიწაძეები, მარინა მოდებაძე, ბიცოლა ლიანა, ბიძაშვილები თენგიზ, რომან გოლიაძეები, მული გულიკო გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**დალი დავითის ასული გამეზარდაშვილი**

**პანაშვიდი 15, 16 I, დაკრძალვა 17 I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №8, მე-4 სად. ბინა 82.**

**ზურაბ გამეზარდაშვილი ოჯახით იუწყება უსაყვარლესი დის**

**დალი გამეზარდაშვილის**

**გარდაიცვალებას. პანაშვიდი 15, 16 I, დაკრძალვა 17 I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №8, მე-4 სად. ბინა 82.**

**შვილები თამილა, გოგი ჩიქოვანები, შვილიშვილები ნათია, კოტე, კახა ჩიქოვანები, ნათია, სალომე ჭელიძეები, ძმა გოგი ჩიქოვანი, ძმისწულები ნინო, ნუკრი, ნიკუშა ჩიქოვანები, რძლები ქეთევან ახვლედიანი, ნელი ჩიქობავა, შვილთაშვილები, სიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნათელა ნიკოლოზის ასული ჩიქოვანი**

**პანაშვიდი: 15, 16 I, 17 სთ. მისამართი: პ. კობახიძის 1/4 (ვერა); გამოსვენება 17 I, 14 სთ. სამების ეკლესია, ვაკე, ჭავჭავაძის პროსპექტი.**

## ინფორმაცია

### მწვრთნელმა თავი ჩამოიხრჩო

**საფეხბურთო კლუბ „ლაგოდეხის" მწვრთნელი, 40 წლის ზურაბ ფოფხაძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, არსებული ინფორმაციით, თვითმკვლელობა ოჯახში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება.**

**ცხედარს ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში უკვე ჩაუტარდა. თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას ლაგოდეხის პოლიცია აწარმოებს.**

**გარდაცვლილს სამი შვილი დარჩა, მათ შორის ორი არასრულწლოვანია.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### ფერადი მარილი



**კარგა ხანია იაპონიაში... ფერადი სუფრის მარილი იყიდება. მის მომხმარებლებს თვალნათლივ შეუძლიათ იმის დანახვა, თუ რამდენ მარილს მიირთმევენ.** ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ სუფრის მარილის მოხმარების მხრივ იაპონელებს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ, თუმცა ექიმები კატეგორიულად აფრთხილებენ ყველას, რომ საკვებში ამ პროდუქტის ჭარბად გამოყენება გულის სისხლძარღვთა დაავადებებს, ჰიპერტონიასა და სხვა სნეულებებს იწვევს.

### ფიქრი ძილშიც არ ასვენებს...

**ძეგლებს მსოფლიოს ყველა ქალაქში ნახავთ — მოედნებზე, სკვერებში, ქუჩებში, ამაღლებულ ადგილებზე, შენობებში. თუმცა არის უჩვეულო ადგილებიც, სადაც, ასევე, უჩვეულო ქანდაკებები დგას.**

ერთი ასეთი ადგილია კოპენჰაგენში, კრონბორგის სასახლის... სარდაფი. ქანდაკება აბჯრიან მეომარს გამოსახავს, რომელსაც მძიმე მახვილზე დაყრდნობილს სძინავს. ესაა ჰოლგერ დანსკე — ლეგენდარული გოლიათი, რომელიც ძილშიც ხედავს ყველაფერს, რაც კი დანიაში ხდება, ხოლო თუკი მის სამშობლოს საფრთხე დაემუქრება, იგი გაიღვიძებს, მახვილს მოიქნევს და საბრძოლველად გაეშურება.

### გიხაროდენ!

**დადებითი ემოციები ხანდაზმულ ადამიანთა თავის ტვინისთვის დიდი სიკეთის მომტანია, რადგან მის დაბერებას ამუხრუჭებს.**

ამ ტიპის ემოციებს ის შედეგი მოაქვს, რომ ჩვენი ორგანიზმი ეგრეთ წოდებულ „სიხარულის ჰორმონებს“ — ენდორფინებს გამოიმუშავებს, რომლებიც სტრესით გამოწვეული დამზიანებელი ზემოქმედებისგან იცავენ. ასაკთან ერთად, თუკი ორგანიზმში სტრესის და, შესაბამისად, მისი ჰორმონების შემცველობის დონე მაღალია, თავის ტვინი ზედმეტად იჟანგება, მასში თავისუფალი რადიკალები წარმოიშვება — ეს ის ნაერთებია, რომლებიც ნებისმიერ, მათ შორის თავის ტვინის უჯრედებსაც შლიან.



მაგრამ, საქმე ისაა, რომ ენდორფინების წინასწარ მომარაგება შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება ხოლმე, დადებითი ემოციებით ორგანიზმის კვება გამუდმებითაა საჭირო.

ამიტომ ძალიან კარგია, თუკი ცხოვრებას ფილოსოფიურად უცქერთ, რაც ყოველდღიურ პატარ-პატარა ყოფითი უსიამოვნებებისთვის ყურადღებას არ მიგაქცევინებთ, მათ გულთან ახლოს არ მიგატანინებთ და მალევე გადაივიწყებთ.

### ანესთეზია

#### ტკივილის გაყუჩების ყველა სახეობას აქვს უკუჩვენებები

**ანესთეზია — ბერძნულად „მგრძნობიარობის შემცირებას“ ნიშნავს. ანესთეზიას ოპერაციების დროს იყენებენ, როცა ქირურგიული ჩარევით მიყენებული ტკივილი შესაძლოა პაციენტის შოკური მდგომარეობის მიზეზი გახდეს, რაც სიცოცხლისთვის სახიფათოა.**

XIII საუკუნეში ავადმყოფებს ოპერაციის წინ ძაღლის ყურის გოგირდს კუპრში ურევდნენ და გამაყუჩებლად აძლევდნენ. შუასაუკუნოვან ექიმებს მიაჩნდათ, რომ ეს წამალი ძილის მომგვრელია; 1839 წელს ცნობილი ფრანგი ქირურგი ველპო აცხადებდა, რომ „ოპერაციების წინ ტკივილის გაყუჩება ისეთი აბსურდია, რომელზე ფიქრიც კი დაუშვებელია. მჭრელი ინსტრუმენტი და ტკივილი ავადმყოფის ტვინში ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია“; ნარკოზის გამოგონებამდე ოპერაციების 70 პროცენტი ავადმყოფის დაღუპვით სრულდებოდა; ნარკოზის გამოგონებამდე ოპერაციის დროს ავადმყოფის გადარჩენის შანსები ქირურგის მუშაობის



სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. ცნობილი რუსი ქირურგი პიროგოვი თეძოს ამპუტაციას 3-4 წუთში აკეთებდა, სარძევე ჯირკვალს 1,5 წუთში კვეთავდა, ფეხის ტერფს კი 8 წუთში აჭრიდა; 170 წლის წინათ, 30 მარტს ანესთეზიაში რევოლუციური ამბავი მოხდა: ამერიკელმა ექიმმა კროუფორდ ლონგმა პაციენტს პირველად ოპერაციის დროს ეთერი შეასუნთქა; არსებობს ანესთეზიის სამი ძირითადი სახეობა: ესენია ადგილობრივი, საერთო და ზურგის ტვინის (ეპიდურალური) ანესთეზიები; საერთო ანესთეზია (მისი სინონიმია ნარკოზი) — ესაა ხელოვნურად გამოწვეული ძილი, რომელსაც გრძნობის, მეხსიერებისა და ტკივილის შეგრძნებების დაკარგვა ახლავს. დაახლოებით 20 პროცენტით მეტი ანესთეტიკი სჭირდებათ ჟღალთმიან პაციენტებს, რათა მათ ტკივილის შეგრძნება გაეთიშოთ; 20-დან ერთ ავადმყოფზე ეპიდურალური ანესთეზია არ მოქმედებს; 200-დან ერთ გეგმურ ოპერაციაზე ანესთეზიის მიღებით სიკვდილის შანსი არსებობს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ეს ალბათობა თავში აგურის დაცემის ალბათობის ტოლფასია; ექსტერნული სასწრაფო დახმარების გამწევ სამედიცინო დაწესებულებებში ერთ ანესთეზიოლოგზე დღეში 10 ანესთეზია მოდის ხოლმე; ბრონქიტისა და პნევმონიის განვითარების ალბათობა ნარკოზის მიღების შემდეგ აქვთ მწეველებს.

## ანეკდოტები

— **საყვარელო,** მელაპარაკე იმ თაყვანისმცემლებზე, რომლებიც ჩემამდე გყავდა, — ეუბნება ბიჭი გოგოს.

— არ შემიძლია, ძვირფასო! დედაჩემს დავპირდი, რომ დღეს სახლში ადრე დავბრუნდები.

* * *

— **დედი,** სასეირნოდ წავალ, რა.. სუფთა ჰაერი მაკლია ძალიან, — ეუბნება ქალიშვილი დედამისს.

— კარგი, წადი, მაგრამ შენი „სუფთა ჰაერი“ გააფრთხილე, რომ ცხრა საათისთვის სახლში უნდა იყო.

* * *



**რაც** უფრო დიდხანს ცხოვრობ, მით უფრო მეტი წამლის დასახელება იცი.

— **წარმოგიდგენიათ,** გუშინ ისეთი მაგარი ქალი გავიცანი, უკეთესი არ იქნება! მზეთუნახავია! და რაც მთავარია, გუშინვე ჩავწექით საწოლში! თუმცა აი, ისიც მოვიდა. გინდათ, რომ გაგაცნოთ?

— არა, გმადლობთ.

— რატომ? დარწმუნებული ვარ, ერთმანეთი უცებ მოგეწონებათ!

— არა მგონია, მე მისი ქმარი ვარ.

* * *

— **თუ** შეიძლება, ორი ბილეთი მომეცით საკოცნაო ადგილებზე!

— ყმაწვილო, დღეს საშინელებათა ფილმი გადის!

— არა უშავს, საშინელი შესახედაობის ქალთან ერთად ვარ!

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



#### „ზურაბ ჟვანია მოკლულია ირაკლი ოქრუაშვილის თანდასწრებით“

— ამბობს „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, — ჟვანია მოკლულია შავნაბადაზე, სააკაშვილის თანდასწრებით! დღემდე არ მითქვამს და ახლა გეტყვით: ზურაბ ჟვანია მოკლეს სამი ადამიანის თანდასწრებით და ეს სამი ადამიანი გახლდათ: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი! დიახ, ზურაბ ჟვანია მოკლულია ირაკლი ოქრუაშვილის თანდასწრებით!

**„ასავალ-დასავალი“**

#### „ბესარიონ გუგუშვილმა ზვიადის სიკვდილზე სიმართლე თქვას!“

— ამბობს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ცოტნე გამსახურდია, — მკითხველთან ბოდიში სიძულვილის ენისთვის, მაგრამ ბატონი ბესარიონი ერთი მშიშარა ნაძირალაა, რომელსაც არ ჰყოფნის კაცობა, სიმართლე გაიხსენოს. მას ხომ მამაჩემის მკვლელობაში პერსონალურად არავინ ადანაშაულებს, თქვას, რა მოხდა სინამდვილეში. ვფიქრობ, ამ ყველაფრით აუცილებლად დაინტერესდება დამოუკიდებელი პროკურატურა, პირადად, ბატონი არჩილ კბილაშვილი და ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

**„ახალი თაობა“**

#### საქართველოს ხელისუფლების პირველი კრიტიკა მოსკოვიდან

**საგარეო** საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ლიტვაში ვიზიტს რუსეთში უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქართველმა მინისტრმა ლიტვის სახელმწიფოს მიერ საქართველოს არა „გრუზიად“, არამედ „გეორგიად“ მოხსენიების საკითხი დასვა. ეს საკითხი წინა ხელისუფლების დროს, გრიგოლ ვაშაძის მინისტრობის პერიოდშიც რამდენჯერმე დაისვა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ოფიციალურად საქართველოს „გრუზიად“ მოიხსენიებდნენ. მაშინ და ამჯერადაც ამას მოსკოვის გაღიზიანება მოჰყვა. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსულმა მედიამ პირველად მისცა მკვეთრად უარყოფითი შეფასება საქართველოს ახალი ხელისუფლების საქმიანობას.

**„რეზონანსი“**

#### საშინელ ტრაგედიას გადარჩენილი ერისიონელები

**საავიაციო** შემთხვევის შესახებ, რომელსაც კინაღამ ემსხვერპლა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ ძირითადი შემადგენლობა, „კვირის პალიტრისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი. მორიგი ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე მათთვის კინაღამ უკანასკნელი აღმოჩნდა, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში დაგეგმილი გასტროლები მინსკში დასრულდა. ანსამბლი მინსკის აეროპორტიდან თბილისისკენ ბელორუსიის ავიახაზების კუთვნილი „ბოინგით“ გამოემგზავრა, თუმცა, ორსაათიანი ფრენის შემდეგ ხომალდი კვლავ მინსკის აეროპორტში ავარიულად დაეშვა.

**„კვირის პალიტრა“**

#### რატომ გადადის სააკაშვილი ზუგდიდში?

**მიხეილ** სააკაშვილი ზუგდიდის რეზიდენციაში გადასვლასა და ქვეყნის იქიდან მართვას აპირებს. ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ამ ფაქტს ასე უბრალოდ არ უყურებს.

„ვუშვებ შესაძლებლობას, რომ მიხეილ სააკაშვილს სამეგრელოში საპრეზიდენტო რეზიდენციის გადატანით სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების შემოტყუება სურს... ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის კოჰაბიტაცია ვერ შედგა. მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში გადასვლით ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას იხსნის, ხოლო, როცა ამას აკეთებს და მხოლოდ საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე მოქმედებს, შეიძლება დადგეს მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

**„ქრონიკა“**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com